

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№7

ივლისი
2008

კათოლიკობა მწვალებლობაა?
პირველი ზიარება
მამა კარლოს იუბილე
დღესასწაული სიზაბავრაში
მოწოდებულთა შეხვედრა

ეპისკოპოსის წერილი

რაკი ზოგმა კათოლიკემ, აშკარად შეურაცხყოფილმა და ნდობადაკარგულმა, მომმართა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ, მოძღვართან დასმულ კითხვებსა და მის პასუხებთან დაკავშირებით, მსურს განვაცხადო შემდეგი:

ვებგვერდზე გამოქვეყნებული კითხვები ნამდვილად შეურაცხყოფელია ყოველი კათოლიკისათვის, რადგან კათოლიკეები წარმოდგენილნი არიან ერეტიკოსებად, რომელთაც არ სწამთ სამება, რომლებიც არცერთ საიდუმლოს არ აღასრულებენ მართებულად, თაყვანს სცემენ მამონას, არიან პაპისტები და მართლმადიდებლური ეკლესიის მტრები:

აი, რა წერია ამ ვებგვერდზე:

51. როგორი რელიგიაა კათოლიციზმი?

ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია არის მართლმადიდებელი ეკლესია, ხოლო პაპისტური ეკლესია არის კათოლიციზმი. ის არის მწვალებლობა. პაპი არის მათი ღმერთი. წმინდა მამები გვაფრთხილებენ: "გაექეცი უნიას და შენი ახლობლებიც გააფრთხილე, რომ მათ არ გაეკარონ, თუ არ დაგიჯერებენ, შენ მაინც დააღწიე თავი." ძალიან მზაკვარი და ვერაგი ზრახვის ხალხია. აი ფაქტი, როცა რომის პაპი იოანე-პავლე II ჩავიდა ინდოეთში, რძეზე აღასრულა მესა, რადგან ინდოელები ღვინოს არ იხმევენ..."

54. მიყვარს ადამიანი, რომელიც არის კათოლიკე, მასაც ვუყვარვარ და არ ვიცი რა

ვქნათ. ჯვრისწერის გარეშე არ მინდა მასთან ცხოვრება. რელიგიის შეცვლა ვთხოვე, მაგრამ ვერ დავითანხმე. იქნებ გამოსავალი იყოს?

კათოლიციზმი, ანუ პაპიზმი მწვალებლობაა და მწვალებელთან ქორწინება რას მოგიტანთ? იმას რომ თქვენც მწვალებელი გახდებით. დაფიქრდით, უფალი უფრო გიყვართ თუ ის კათოლიკე. "ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი."

66. შეიძლება თუ არა მართლმადიდებელი სხვა სარწმუნოების ადამიანს გაყვეს ცოლად. თუ არ შეიძლება რატომ და რა მოხდება მასეთი შემთხვევის დროს?

დავით მეფსალმუნე ბრძანებს: "ურჯულოსთან ერთად პური არა ვჭამო" და ქორწინება მითუმეტეს დაუშვებელია. თუ რა მოხდება შემდეგ, ეს ნაბიჯი არ იქნება მაცხოვრებელი.

84. შეიძლება თუ არ ლოცვაში არამართლმადიდებლის მოხსენიება, მაგალითად კათოლიკეს?

არ შეიძლება, რადგანაც პაპისტური ეკლესია მწვალებელია და მწვალებლის მოხსენიება ან მასთან ევქარისტული კავშირი ნიშნავს იმას, რომ შენც მწვალებელი ხარ.

მე გაგუგზავნე წერილი პირადად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას, ილია II-ს და მთავარეპისკოპოს დანიელს შეკითხვით, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ტექსტები მართლმადიდებლური ეკლესიის აზრს (მე ყოველთვის მარწმუნებდნენ, რომ ამგვარი აზრები არ გამომდინარეობდა საპატრიარქოდან და მხოლოდ ზოგიერთი კონსერვატორის და ფანატიკოსის ნააზრევი იყო); თუკი ეს ტექსტები არ გამოხატავს საპატრიარქოს აზრს, ამ შემთხვევაში ვითხოვე, რომ ისინი წაეშალათ და დაეწერათ მართებული პასუხები.

ყოველივე ამაზე მოვითხოვე წერილობითი პასუხი.

ველოდები ხსენებულ ოფიციალურ პასუხს, რასაც შემდეგ გაცნობებთ ყველა მორწმუნე კათოლიკეს.

გფარავდეთ უფალი!

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ბენედიქტე XVI-ისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრა ვატიკანში

13 ივნისს, დილის 11 საათზე, ვატიკანში შედგა უწმიდესი პაპის ბენედიქტე XVI-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის შეხვედრა.

პონტიფექსისა და პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართა არა ბიბლიოთეკაში, სადაც პაპი ჩვეულებრივ სახელმწიფოთა მეთაურებს ხვდება, არამედ ვატიკანის ბაღებში. წმიდა საყდრის პრეს-სამსახურის უფროსის, ფედერიკო ლომბარდის განმარტებით, აუდიენცია ასეთ უჩვეულო ადგილსა და ვითარებაში განპირობებულია იმ გულთადი მასპინძლობით, როგორც თეთრმა სახლმა გაუწია ბენედიქტე XVI-ს აშშ-ში მისი ვიზიტის დროს.

უწმიდესი პაპი შეხვდა პრეზიდენტს, მის მეუღლესა და აშშ-ის ელჩს ვატიკანში მერი-ენ გლენდონს ვატიკანის ბაღების ტერიტორიაზე მდებარე შუა საუკუნეების კოშკთან, რომელშიც გასული საუკუნის შუა წლებში ნეტარი პაპი იოანე XXIII სახლობდა.

შემდეგ ბენედიქტე XVI და ჯორჯ ბუში პონტიფექსის კაბინეტში გაემართნენ. "პირადი შეხვედრისას საუბარი შეეხო საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად თემებს: ევროპასა და აშშ-ს შორის ურთიერთობებს, სიტუაციას ახლო აღმოსავლეთში და წმიდა მიწაზე მშვიდობის დამყარების პერსპექტივებს, გლობალიზაციას, სასურსათო კრიზისსა და საერთაშორისო ვაჭრობას", – ნათქვამია წმიდა საყდრის პრეს-სამსახურის კომუნიკეში.

აუდიენციის დასრულების შემდეგ პაპმა და პრეზიდენტმა ისევ ვატიკანის ბაღებში გაისეირნეს, სადაც საპატიო სტუმრისთვის სიქსტეს კაპელის გუნდმა იგალობა.

ბელარუსი ვატიკანთან კონკორდატის დადებისთვის ემზადება

ეს ინფორმაცია 21 მაისს დაადასტურა გროდნოში ჟურნალისტებთან შეხვედრისას ბელარუსის რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ლეონიდ გულიაკომ.

“ბელარუსის მართლმადიდებელ ეკლესიასთან სახელმწიფომ დადო ხელშეკრულება, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის საშუალებას იძლევა. ახლა კათოლიკე ეკლესიასთან კონკორდატის დადებისთვის ვემზადებით. ეს უფრო მაღალი დონის დოკუმენტი იქნება, ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს, ბელარუსის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის, რომელიც გაამყარებს სახელმწიფოთა ურთიერთობების სამართლებრივ ნორმებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. მაგრამ ამგვარი კონკორდატი მსოფლიოში ერთეულებია და ნიმუშად ვერაფერს გამოვიყენებთ. ეს ძალიან დიდი სამუშაოა და მიტროპოლიტ თადეუშ კონდრუსევიჩთან ერთად ჩვენ იგი უკვე დავიწყეთ”, – განაცხადა ლეონიდ გულიაკომ გროდნოში ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

ერაყის ქრისტიანები ეპისკოპოს რაჰოს მკვლელის შეწყალებას ითხოვენ

18 მაისს ერაყის სასამართლომ სასიკედილო განაჩენი გამოუტანა მოსულის ქალდეური წესის კათოლიკე მთავარეპისკოპოსის, პაულოს ფარაჯ რაჰოს ერთ-ერთ მკვლელს. შეგახსენებთ, რომ მთავარეპისკოპოსი გაიტაცეს 29 თებერვალს, როდესაც იგი წირვის შემდეგ ტაძრიდან გამოვიდა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა მძღოლი და მღვდელმთავრის ორი თანმხლები პირი, ხოლო რაჰოს ცხედარი 13 მარტს მოსულის შემოგარენში იპოვეს.

ერაყის სასულიერო პირები და მორწმუნენი აპროტესტებენ ამ განაჩენს. “თავად მთავარეპისკოპოსი რაჰო, ცოცხალი რომ დარჩენილიყო, არ დათანხმდებოდა, რომ მის გამო ვინმეს სიცოცხლე წართმეოდა,” – განაცხადა ბაღდადის საეპისკოპოსო ვიკარიუსმა შლემონ ვარლუნიმ. კირკუკის მთავარეპისკოპოსმა ლუი საკომ კი აღნიშნა, რომ “ძალადობა არ უნდა გახდეს მორიგი ძალადობის მიზეზი; ჩვენ სამართლიანობის მხარეს ვართ, მაგრამ ძალადობის წინააღმდეგ”.

გაეროს გენერალური ასამბლეის ახალი თავმჯდომარე

გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად ნიკარაგუელი კათოლიკე მღვდელი მიგელ დ'ესკოტო ბროკმანი აირჩიეს. 1980-იან წლებში დანიელ ორტეგას მთავრობაში მას საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. მას ახასიათებენ როგორც “შეერთებული შტატების გააფთრებულ კრიტიკოსს”. 2004 წელს მან რონალდ რეიგანს “ჩემი ხალხის ყასაბი” უწოდა, ჯორჯ ბუშს კი რეიგანის “სულიერი მემკვიდრე”.

ბოლო დროს ბროკმანის გამონათქვამები ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ რამდენადმე შერბილდა. თავის მისასაღმებელ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მსოფლიოს ყველაზე მეტად სიყვარული სჭირდება, დაგმო “აგრესიის აქტები, რომელთაც ადგილი აქვს ერაყსა და ავღანეთში”, მაგრამ ასევე გამოხატა სიყვარული აშშ-ს, როგორც ქვეყნის მიმართ. “მე არ მსურს, გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის ტრიბუნა შეერთებულ შტატებზე თავდასხმის ადგილად ვაქციო,” – განაცხადა ბროკმანმა.

გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტს შეზღუდული უფლებამოსილება აქვს. გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, მაშინ, როცა გაეროს უშიშროების საბჭოს

დადგენილებები სააერთაშორისო კანონებს წარმოადგენს. ბროკმანმა უკვე გააკრიტიკა ვეტოს უფლება, რომელიც აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთს, რუსეთსა და საფრანგეთს.

თავის მოვალეობის შესრულებას მიგულ დ'ესკოტო ბროკმანი 2008 წლის სექტემბერს შეუდგება, რომლის ვადა ერთი წლით შემოიფარგლება.

გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად ყოველ წელს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელი აირჩევა. ამჯერად თავიანთი კანდიდატურები ნიკარაგუას, ბოლივიასა და პარაგვაის უნდა წამოეყენებინათ, მაგრამ ამ ორ უკანასკნელ ქვეყანას გაეროსთვის წარმომადგენელი არ შეუთავაზებია და ამრიგად ბროკმანი ერთადერთი კანდიდატურა აღმოჩნდა ამ პოსტზე.

ალი აღჯას პოლონეთში ცხოვრება სურს

11 ივნისს ალი აღჯამ, ისლუმური დაჯგუფება “რუხი მგლები” ყოფილმა აქტივისტმა, რომელმაც 1981 წელს პაპ იოანე პავლე II-ზე თავდასხმა განახორციელა, პოლონეთის საკონსულოში, ანკარაში პოლონეთის მოქალაქეობის მიღებაზე შეიტანა განაცხადი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რადოსლავ სიკორსკიმ ყოფილი ტერორისტის ამ გადაწყვეტილებას “თავსგასული თავხედობა” უწოდა.

პაპზე თავდასხმის შემდეგ ალი აღჯამ 19 წელი იტალიის ციხეში გაატარა, შემდეგ კი თურქეთში იქნა ექსტრადირებული. თავად იოანე პავლე II-მ 1983 წელს ციხეში მონახულა პატიმარი, შეუნდო მას და მისი შეწყალებისთვის შუამდგომლობდა.

ამჟამად ალი აღჯა 1979 წელს თურქეთში ჩადენილი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. მაშინ მან ცნობილი თურქი ჟურნალისტი, აბდი იფექჩი მოკლა. პატიმრობის ვადა ვადა 2010 წელს იწურება და ალი აღჯას დარჩენილი ვადის მოხდა პოლონეთის ციხეში სურს.

საბუთები განსახილველად საკონსულოდან პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეგზავნება, რის შემდეგაც, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, პოლონეთის პრეზიდენტს ლეხ კაჩინსკის გადაეცემა.

მკვდრადშობილ ჩვილთა სასაფლაო რიგაში

“სულთა ბაღნარი”, – ასე უწოდეს ადგილს წმიდა ალბერტის კათოლიკური ტაძრის ტერიტორიაზე, სადაც ამიერიდან მკვდრადშობილი ჩვილები დაიმარხებიან. სასაფლაოს დაარსების ინიციატორი მეურვეობის პროფესიონალ კაპელანთა ასოციაცია გახდა.

ამგვარი სასაფლაოს დაარსების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც რიგაში, კიშეზერსის ტბის ნაპირზე გოლფ-კლუბის მებაღემ აღმოაჩინა ურნა მკვდრადშობილის ფერფლით. სავარაუდოდ, ბავშვი წმიდა ალბერტის ტაძრის სიახლოვეს მდებარე პაულ სტრადინის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში დაიბადა.

მკვდრადშობილთა ცხედრები მთელი ლატვიიდან რიგის ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოს პათოლოგიის განყოფილებაში ჩამოაქვთ და გამოკვლევის შემდეგ კრემაციას აგზავნიან. კრემატორიუმის წარმომადგენლის განმარტებით, ფერფლი მშობლებს მიაქვთ და, როგორც წესი, წყლის პირას განაბნევენ.

ამიერიდან მშობლებს თავიანთ შვილთა დამარხვის საშუალება ექნებათ. კიშერზის ტბის პირზე ნაპოვნი მკვდრადშობილი გოგონას ფერფლი “სულთა ბაღნარში” დაიმარხა.

მიუხიკლი “მარიაში ნაზარეთიდან”

17 ივნისს, ვატიკანში, პავლე VI-ის დარბაზში გაიმართება პრემიერა მიუზიკლისა “მარიამი ნაზარეთიდან: ამბავი, რომელიც გრძელდება” მიუზიკლის დამდგმელი რეჟისორი მარია პია ლიოტაა, მუსიკის ავტორი სტელვიო ჩიპრიანი გახლავთ, მთავარ პარტიას კი სოპრანო ალმა მანერა ასრულებს. წარმოდგენაში მონაწილეობს 40 მსახიობი, ბალეტის 12 არტისტი და თეატრის "Francesco Cilea" ორკესტრი.

მიუზიკლი გვიჩვენებს მარიამს, როგორც დედას, მეუღლესა და შვილს, წმიდა წერილის მცადრი ინტერპრეტაციების გარეშე, მაგრამ, როგორც აღნიშნავს ერთ-ერთი პროდიუსერი, “რამდენადმე თავისუფალი პოეტურობით”.

“ჩვენ სიამოვნებით შევუწყვეთ ხელი პროექტს, რადგან მარიამი ნაზარეთიდან ის პიროვნებაა, რომელიც მიმართავდა და მიმართავს კაცობრიობას ღმრთის სიტყვით (...) ამიტომაც მომწონს ამ ნაწარმოების სახელწოდება: “ამბავი, რომელიც გრძელდება”, – აღნიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის პაპის საბჭოს თავმჯდომარემ მთავარეპისკოპოსმა კლაუდიო ჩელიმ.

“მარიამი მართლაც ყველაზე ცნობილი ქალია ისტორიაში. იგი შევიდა ხელოვნებაში და მრავალი ადამიანის შთაგონების წყარო გახდა”, – ამბობს მარიამოლოგიის სპეციალისტი მამა სტეფანო დი ფიორესი, რომელიც მიუზიკლის მოძღვრებასთან შესაბამისობას იკვლევდა, – “მარიამი პიროვნებაა, რომელიც ძლიერ უყვარს ხალხს, რომელსაც დარდას და წუხილს უზიარებს მრავალი ქალი მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კათოლიკეები, მაგრამ ასევე მუსლიმებიც. ამიტომ მარიამისთვის პატივის მიგება შეიძლება გახდეს ყველა რელიგიის შეხების წერტილი, რადგან მარიამი წარმოადგენს არა მარტო ისრაელის, არამედ მთელი მსოფლიოს სულიერ ისტორიას. თუკი ვფიქრობთ, როგორ ვუპასუხოთ ღმერთს, რომელმაც საკუთარი თავი გამოგვიცხადა, აუცილებლად მივალთ მარიამთან, რომელიც ისლამშიც ღმრთისათვის სრული თვითმიძღვნის მაგალითია”.

მსოფლიოს უხუცესი კათოლიკე ეპისკოპოსი 102 წლისაა

27 მაისს მსოფლიოს უხუცესმა კათოლიკე ეპისკოპოსმა ანტონიო როზარიო მენონამ მშობლიურ ქალაქში, მურო ლუკანოში თვისი 102-ე დაბადების დღე აღნიშნა.

ანტონიო მენონა 1906 წელს დაიბადა. 1955 წელს იგი ეპისკოპოსად ეკურთხა და თავისი მშობლიური ქალაქის, მურო ლუკანოს სამწყსო ჩაიბარა, 1962 წლიდან კი მსახურება სამხრეთ იტალიის ნარდო-გალიპოლის ეპარქიაში განაგრძო.

ეპისკოპოსი ვატიკანის II კრების მონაწილე იყო, დააარსა რამდენიმე ახალი სამრევლო, ხელი შეუწყო მრავალ საქველმოქმედო აქციას და მისი ხანგრძლივი მსახურების მანძილზე მოღვაწე იტალიის ყველა პრეზიდენტის განსაკუთრებული აღიარება მიიღო.

**რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა**

ქრისტიანობა მსოფლიოში

მართლმადიდებელი მღვდელმთავარი კათოლიკურ ეკლესიაში ეზიარა

25 მაისს, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, ბანატის მიტროპოლიტი ნიკოლაე (კორნეანუ) რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარას ბერძნული წესის კათოლიკეთა ტაძარში ეზიარა.

წირვას ლუგოვის ეპისკოპოსი ალექსანდრე მესიანი და წმიდა საყდრის დესპანი მთავარეპისკოპოსი ფრანცისკო ხაგიერ ლოზანო აღავლენდნენ. ზიარებისას მიტროპოლიტი საკურთხეველისკენ გაემართა და მთავარეპისკოპოს ლოზანოს ზიარება სთხოვა.

რუმინეთში მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები ხშირად ესწრებიან სხვა კონფესიათა ღმრთისმსახურებას, მაგრამ ეს ერთობლივი ზიარების პირველი ცნობილი შემთხვევაა. საღმრთისმეტყველო განსხვავებათა გარდა, რუმინეთის მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ურთიერთობებს ქონებრივი დავებიც ართულებს. საუბარია კათოლიკე ეკლესიის ქონებაზე, რომლის ნაწილიც კომუნისტურმა მთავრობამ 1948 წელს მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა.

ტიმიშოარას მკვიდრი მიტროპოლიტის მხარდასაჭერი აქციის გამართვას გეგმავენ. “ყველა, ვისაც უყვართ და პატივს სცემს მიტროპოლიტ ნიკოლაეს, ანთებული სანთლებით შეიკრიბებიან და “მამაო ჩვენოს” წაიკითხავენ”, – ნათქვამია მიტროპოლიტის მხარდამჭერთა მოწოდების ტექსტში.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობათა მეთაურმა მიტროპოლიტმა კირილემ გაუგზავნა წერილი რუმინეთის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირთა სექტორის თავმჯდომარეს ეპისკოპოს კიპრიანეს ამგვარი თხოვნით: “გთხოვთ, განგვიმარტოთ, ჰქონდა თუ არა სინამდვილეში ადგილი რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოჩენილი იერარქის ზიარების ფაქტს პირებთან, რომელნიც მართლმადიდებელ ეკლესიას არ ეკუთვნიან”.

მიტროპოლიტი ნიკოლაე კორნეანუ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ მართლმადიდებელ მღვდელმთავართა შორის, ვინც აღიარა თავისი თანამშრომლობის ფაქტი კომუნისტური რეჟიმის სპეცსამსახურებთან. იგი ასევე იყო იმ მცირერიცხოვან იერარქთა შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ კათოლიკე ეკლესიისთვის 1948 წელს და შემდგომ წლებში წართმეული ქონების დაბრუნებას.

რუსული ტაძრის მრევლი ახალ სტილიზე გადადის

სოფიის წმიდა ნიკოლოზის სახელობის რუსული ტაძრის ახალმა წინამძღვარმა, ილუმენმა ისიდორემ (მინაევი) უარი თქვა რუსეთის ეკლესიის მეტოქეებში არსებულ პრაქტიკაზე – დიდ დღესასწაულთა ორჯერ (ძველი და ახალი სტილით) აღნიშვნაზე. მან განაცხადა, რომ ამიერიდან წმიდა ნიკოლოზის ტაძარი იმავე კალენდრის მიხედვით იცხოვრებს, რომლითაც ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცხოვრობს. “ასე ბულგარეთისა და რუსეთის პატრიარქთა ლოცვა-კურთხევით გადაწყდა”, – აღნიშნა მამა ისიდორემ, – “აქამდე არასდროს მიმსახურია ახალი სტილით, რადგან რუსეთსა და იერუსალიმში ვმსახურობდი. თუმცა მივეჩვევი. კალენდრის საკითხი არ არის დოგმატური. ბულგარეთის მეტოქე მოსკოვში ძველი კალენდრით მსახურობს, როგორც მთელ რუსეთშია, ჩვენ კი აქ მიღებული ვიმსახურობთ”.

წინამძღვარმა უკვე აცნობა მრევლს ამ გადაწყვეტილების შესახებ და აუხსნა, რომ დღესასწაულთა ორჯერ აღნიშვნას მხოლოდ არეულობა შემოაქვს ტაძარში ღმრთისმსახურების აღსრულებისას.

ილუმენი ისიდორე წმიდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვრად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის 2008 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით დაინიშნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის VI საეკლესიო-სახალხო კრებაზე (2008 წ. 14-17 მაისი) კვლავაც წამოიჭრა კალენდრის საკითხი, რომელიც ერთობ მტკივნეულია ამ ეკლესიისთვის. ჯერ

კიდევ 1968 წელს, როდესაც ბულგარეთის ეკლესია გრიგოლის კალენდარზე გადავიდა, რამდენიმე ღმრთისმსახურმა უარი თქვა ახალი სტილის მიღებაზე. წლების მანძილზე დავა გრძელდებოდა და 1990 წელს განხეთქილებით დასრულდა: ახალი სტილის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი ბულგარეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოვიდა და დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაცია დააარსა. 1993 წელს წინააღმდეგობა წმინდა სინოდის (ერთ-ერთი ძველმესტილე ეკლესია საბერძნეთში) მღვდელმთავრებმა ბულგარეთის ძველმესტილე ავტოკეფალური ეკლესიის ეპისკოპოსად ბერმონაზონი ფოტიუსი (სირომახოვი) აკურთხეს. ამიტომ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი ღმრთისმსახური ემხრობა ძველ სტილზე დაბრუნებას, რაც, მათი აზრით, შესაძლებელს გახდის განხეთქილების დაძლევას.

ხსენებულ კრებაზე ძველ სტილზე დაბრუნების საკითხი სოფიის სამრევლოს დელეგატმა კატია ტოდოროვამ წამოაყენა. კენჭისყრისას აღმოჩნდა, რომ ამ იდეას კრების მონაწილეთა მხოლოდ 20% იზიარებს. ბულგარული ტელეარხი BTV-სთვის მიცემულ ინტერვიუში მღვდელმა ბოიან სარიევმა აღნიშნა, რომ “ახალი კალენდრის მიღებას არეულობა და განხეთქილება მოყვა მართლმადიდებელ ეკლესიაში. დღესაც ზოგიერთი დელეგატი მიუთითებს იმაზე, რომ ძველ კალენდარზე დაბრუნებას შეიძლება მოყვეს ახალი არეულობები და ახალი განხეთქილებები. ამიტომაც გადაწყდა, რომ კალენდრის შეცვლა საჭირო არ არის (...) მნიშვნელოვანია მოვლენები და არა თარიღები”.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

კომენტარი: ბულგარეთში მოქმედი რუსული ეკლესიის მრევლი 2008 წლიდან ახალ ანუ პაპ გრიგოლის მიერ XVI საუკუნეში მიღებულ სტილზე გადავა. ახალ სტილზე დღეს მთელი მსოფლიო, მათ შორის, ისლამური ქვეყნებიც არის გადასული. 1918 წლიდან რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც ახალ სტილზე გადავიდნენ (საერო ხელისუფლება). რაც შეეხება მართლმადიდებელ ეკლესიებს, მათ ახალ სტილზე გადასვლა ეტაპობრივად მოხდა. დღეისათვის მართლმადიდებელი ეკლესიათა უმრავლესობა ახალ სტილს იყენებს. უმეტესი მართლმადიდებელი ეკლესიები უძრავ დღესასწაულებს დიდი ხანია ახალი სტილით აღნიშნავენ, ხოლო აღდგომას იულიუსის კალენდრის მიხედვით. მსგავსი რეფორმის გატარება სურდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას XX საუკუნის 20-იან წლებში, მას შემდეგ, რაც აღიდგინა ავტოკეფალია, მაგრამ რუსეთის ეკლესიის გავლენით ისევ იულიუსის კალენდარზე დარჩა.

ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესია კი აღდგომასაც გრიგოლის კალენდრით აღნიშნავს.

საინტერესო მიდგომა აქვს კალენდრისადმი სომხურ სამოციქულო ეკლესიას, რომელიც კარგა ხანია ახალ სტილზეა გადასული, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს სომხური ეპარქიები ძველ სტილზე რჩებიან. ამ გამონაკლისის ჩანაფიქრია, რათა არ გაჩნდეს მორწმუნეებში გაურკვევლობა და დაბნეულობა. საქართველოში, სხვათა შორის, პროტესტანტული ეკლესიებიც ძველ სტილს მისდევენ, მხოლოდ ევანგელურ-ლუთერულმა ეკლესიამ შეძლო გამოეჩინა გამბედაობა და წელს ახალ სტილზე გადასულიყო. მხოლოდ კათოლიკე ეკლესია იჩენდა პრინციპულობას და ყოველთვის ახალი სტილით მოქმედებდა, როგორც ცარიზმის რეჟიმის, ასევე საბჭოთა კავშირის დროსაც.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალ სტილზე გადასვლასთან ერთად ეკლესიათა დაახლოების უფრო რადიკალურ ნაბიჯებსაც დგამენ. წლეულს რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაახლა თანაზიარება რუმინეთის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიასთან.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

**სტიგმელთა ორდენის ზეიმი
მამა კარლოს სამღვდელო მსახურების 25 წლის იუბილეს თანხლებით**

2008 წლის 12 ივნისს განსაკუთრებით ნანატრი დილა გათენდა ყოვლადქალწული მარიამის უბიწო ჩასახვის ქუთაისის კათოლიკური მრევლისათვის და არა მარტო მათთვის: ამ დღეს წმ. გასპარე ბერტონის მოხსენიების დღესასწაული იდგა. ზეიმს კიდევ უფრო მეტ ელფერს ჰმატებდა მამა კარლო დი სტეფანოსა და მამა ვიტოლდ შულჩინსკის მღვდლად კურთხევის 25 წლის იუბილე, რასაც თანაბრად ინაწილებდა საქართველოს კათოლიკური სამღვდელთა თაყიანთ მრევლთან და ბერ-მონაზვნებთან ერთად.

საზეიმო წირვა მეტად ამაღელვებელ ვითარებაში ჩატარდა. წირვას უძღვებოდა ეპისკოპოსი ჯუზეპე. ბოლო არ უჩანდა მილოცვებს ბათუმის, ჭიათურის, შრომის, ახალშენის, თბილისის სამრევლოთა წარმომადგენლებიდან, მათ ხომ თაყიანთი საკრებულოების სურვილი უნდა გამოეხატათ.

იყო გულისხმიერებით შერჩეული სამახსოვრო საჩუქრები. თუმცა ვერაფერი შეედრებოდა იმ დღეს მორწმუნეთა თვალებიდან და გულებიდან გადმოღვრილ სიტბოსა და სიკეთეს.

ამ დღეს კიდევ ერთი ლამაზი მომენტის მომსწრენი გავხდით. წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში მოეწყო „კამილიელთა ოჯახის“ წევრის ალისა ლეუკავას ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. არაჩვეულებრივია ამ პიროვნების მიერ დანახული სამყაროს აღქმა. ყველა ცდილობდა ნახატის თუ ნაკეთობის შექენით ალისას სულის ნაწილთან დამეგობრებას.

საზეიმო განწყობამ ქუთაისის „ბავშვთა ცენტრში“ დიდი სიყვარულით გაშლილ სუფრაზე გადაინაცვლა. ქართულმა ტრადიციულმა სუფრამ ჩვეული ლაზათით უმასპინძლა ქართველებსაც და იტალიელებსაც. იუბილარი მამა კარლო მისადმი მიძღვნილი ტკბილი სიტყვების „კომპენსაციას“ ცდილობდა და ყველას ერთნაირად ეფერებოდა.

კიდევ მრავლად იქნება საეკლესიო დღესასწაულები, საზეიმო დღეები, მრგვალი თარიღები. იმედია, ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსიც კვლავაც გაგვიღამაზებს ხოლმე ამ ღირშესანიშნავ დღეებს.

ნინო ჟენტი
ქუთაისი

პირველი ზიარება

თბილისში, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარში

წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღეს დაემთხვა ამ ეკლესიის ბავშვთა ერთი ჯგუფის პირველი ზიარების ზეიმი. ეს სიმბოლურია, რადგანაც გვჯერა, რომ ამიერიდან ეს ბავშვები მოექცევიან იესო ქრისტეს მფარველობის ქვეშ. დღესასწაული კიდევ უფრო გააღამაზა ამიერკავკასიაში წმიდა საყდრის დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის მონაწილეობამ და, განსაკუთრებით, მისმა ქადაგებამ.

წმიდა ზიარების მიღებას წინ უსწრებდა დიდი ხნის განმავლობაში დედა ტერეზას დების მიერ ბავშვების მომზადების პროცესი.

შეუძლებელია ბავშვებისა და მისი მშობლების მხიარული სახეების დავიწყება, როდესაც მათ მიიღეს პირველი ზიარება – იესოს ხორცი და სისხლი. გვინდა დიდი მადობა ვუთხრათ მამა ადამს, რომელმაც ბევრი გააკეთა ამ შესანიშნავი დღის მომზადებისათვის. წირვის დასასრულს ბავშვების ჯგუფმა მშვენიერი სპექტაკლი წარმოგვიდგინეს, რომელიც დიაკვანმა მიხეილ სურმავამ მოამზადა. ბავშვებს დაურიგდათ საჩუქრები: ხატები, სავარდები, ლოცვანი და სხვ.

ბოლოს ბავშვები ტკბილედით ლამაზად გაწყობილ სუფრაზე მიიპატიჟეს. მშობლებმა ბავშვებს მშვენიერი სიურპრიზი მოუმზადეს – ლამაზად გაფორმებული ვეებერთელა ტორტი, რომელზეც ექვარისტია იყო გამოსახული.

ეს მშვენიერი ზეიმი მთელი კვირა გაგრძელდა. ყოველ დღე სპეციალურად ამ ბავშვებისათვის ტარდებოდა წირვა, სადაც ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: ლოცულობდნენ და ადიდებდნენ ღმერთსა და ეკლესიას.

აიდა მელიქ-მარტოვა

არალში

სულ რამდენიმე თვეა, რაც სოფელ არალის წმ. იოსების სახელობის ეკლესიას ვემსახურები როგორც კატეხისტი. ჩემს ჯგუფში 15 ბავშვია, აქედან რვა ბავშვს სურდა ზიარებოდა წმიდა საიდუმლოს.

24 მაისს, შაბათს, ბავშვებმა აღსარება ჩააბარეს მამა აკაკისა და მამა იეჟის. თუ კარგად დააკვირდებით ბავშვების უმანკო გამოხედვაში ერთგვარ შიშსა და დაბნეულობას, შეამჩნევდით, რადგანაც ეს იყო მათი პირველი შეხვედრა ღმერთთან და საკუთარ სინდისთან. საინტერესო იყო ისიც, რომ აღსარების შემდეგ ბავშვები მოძღვრებთან ერთად ეზოში გამოვიდნენ და დაწვეს ის ფურცლები, სადაც საკუთარი ცოდვები ჰქონდათ ჩამოწერილი, ნიშნად იმისა, რომ მათ დაამარცხეს ეშმაკი და ღმერთს მიანდეს თავიანთი თავი.

25 მაისს, კვირას, წმიდა წირვის დაწყების წინ მამა იეჟიმ ბავშვები ეზოში შეკრიბა, აკურთხა და საზეიმო გალობის ჰანგების თანხლებით შეუძღვა ეკლესიაში. წირვის დროს ამ ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ღმრთის სიტყვის წაკითხვაში. მამა იეჟიმ კი ამ დღესთან დაკავშირებით შთამბეჭდავი ქადაგება წარმოთქვა. ქადაგების შემდეგ ბავშვებმა საპასეჟო კელაპტარიდან აანთეს საკუთარი სანთლები.

ქადაგებისა და ლოცვისაგან გამოწვეული ემოციები დაავიწყებინა „ქრისტეს ხორცისა და სისხლის“ მიღებამ, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა იესომ „საკვებად მიწიერი მოგზაურობისათვის, ზეცისაკენ მიმავალ გზაზე“.

პირველი ზიარების აღსანიშნავად ბავშვებს გადაეცათ საჩუქრად ღმრთისმშობლის მედალიონები, სავარდის კრიალოსნები, ზიარებისას გადაღებული სამახსოვრო ფოტოები და ხატები, რომელზეც გამოსახულია ქრისტე ცხვრით ხელში – კეთილი მწყემსი.

ამ დღემ აშკარად დამანახა, რომ მეც საჭირო ვარ ღმრთისათვის და ჩემს მიერ გაწეული შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენ, კატეხისტები, ვცდილობთ პატარებს ვუპასუხოთ მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე, ვესაუბროთ ღმერთზე ადვილი, მათთვის გასაგები ენით და შევაცნობინოთ სიწმიდე.

ფატი ქარქუსაშვილი

არალი

ვალეში

რვა ივნისის დილას წამოწვიმა, მაგრამ შემდეგ მშვენიერი დარი დადგა. ამ დღეს ჩვენს ეკლესიაში უჩვეულო გამოცოცხლება შეიმჩნეოდა, ფუსფუსებდნენ საზეიმოდ გამოწყობილი ბავშვები და მათი კატეხისტი თამრიკო ჩიტაშვილი.

აი, დადგა ასე ნანატრი წუთი. ერთწლიანი მომზადების შემდეგ 41-მა ბავშვმა მიიღო პირველი ზიარება და გაუხსნა თავისი პატარა გული იესოს.

ეკლესიის ეზოში ბავშვები დიდიდანვე შეიკრიბნენ, ორ მწკრივად დაწყვენ და დაელოდნენ მამა ზურაბის კურთხევას. აქ შეკრებილმა მშობლებმაც დალოცეს თავიანთი შვილები. შემდეგ ყველანი საზეიმო გალობის ჰანგების თანხლებით შევედით ეკლესიაში. ბავშვებმა ყვაილებით მორთეს საკურთხეველი. ამ დღეს ყველა ბავშვი იღებდა აქტიურ მონაწილეობას წმიდა წირვაში: ზოგი წმიდა წერილიდან საკითხავს კითხულობდა, ზოგი – ფსალმუნს, ზოგი – ლოცვებს, ზოგსაც ძღვენი მიჰქონდა.

ბავშვები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობებს და, დიდი მღელვარების მიუხედავად, ყველაფერს ძალიან კარგად გაართვეს თავი. სანამ თითოეული ბავშვისათვის ეს ღირსშესანიშნავი დღე დადგებოდა, დიდი ხნის მომზადების შემდეგ, 6 ივნისს, პარასკევს ბავშვებმა აღსარების საიდუმლო გაანდეს მოძღვარს.

სული წმიდით აღვსილმა ორმა მშობელმა გამოთქვა სურვილი, თვითონაც ზიარებოდნენ ქრისტეს. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: „ყოველთვის მეგონა, რომ არასოდეს გამიჩნდებოდა ეკლესიაში სიარულის და, მით უმეტეს, ზიარების მიღების სურვილი“.

წირვის დასასრულს ყველამ ერთად გადავიდეთ სამახსოვრო ფოტოები და საზეიმო სუფრაზე მივულოცეთ პატარებს ეს მშვენიერი დღე – პირველი ზიარება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე დაამახსოვრდება თითოეულ მათგანს.

თამრიკო ჩიტაშვილი

ვალე

უღეში

წმიდა ზიარება შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოა. „ექჟარისტია არის წყარო და მწვერვალი მთელი ქრისტიანული ცხოვრებისა“ (ეკე. 1324). ზიარების ღმრთისმსახურების საშუალებით ჩვენ ვუერთდებით ზეციურ ლიტურგიას. ზიარების საიდუმლოს აღსრულებისას ცენტრში დგას პური და ღვინო, რომლებიც სული წმიდის მოხმობის მეშვეობით იქცევა ქრისტეს ხორცად და სისხლად.

2008 წლის 1 ივნისს სოფელ უღეს კათოლიკური ეკლესიის მრევლის ხუთი წარმომადგენელი: ქეთევან გიგოლაშვილი, ანტონ და ხათუნა ბალახაშვილები, ეთერ ზაზაშვილი და ანა ბაღდოშვილი პირველად ეზიარნენ ექჟარისტის საიდუმლოს, მიიღეს ქრისტეს ხორცი და სისხლი და შეუერთდნენ მორწმუნეთა მთელს საკრებულოს. ისინი ამ დღეს აღსარების საიდუმლოს მეშვეობით სრულიად განთავისუფლდნენ ნათლობის შემდეგ ჩადენილი ცოდვებისაგან და გახდნენ ღმრთის საყვარელი შვილები.

1 ივნისს სრულიად საქართველოს მოსახლეობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ასე რომ, ამ დღემ მათთვის უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა.

მრევლის სახელით თითოეულ მათგანს ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღეს, მათი ცხოვრებისათვის მეტად უმნიშვნელოვანეს მოვლენას და ვუსურვებ

ღმრთის შეწევნასა და სული წმიდის მადლს. ხოლო მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღია ღმრთის ეს დიდი წყალობა, მოვუწოდებ გადადგან თავიანთ ცოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ეხიარონ ქრისტეს მის საიდუმლოებებში და გახდნენ მსოფლიო კათოლიკე ეკლესიის ღირსეული წევრები.

ასევე, გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ჩვენს ძვირფას მოძღვარს, მამა იეჟის მივულოცოთ დაბადების დღე და მღვდლობის 40 წლისთავი. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და მოთმინებას ჩვენდა დასამწყემსად.

ღმერთი გვფარავდეს ყველა ჩვენგანს, ყველგან და ყოველთვის!

ხატია ალოშაშვილი

უღე

იესოს გულის დიდი დღესასწაული ხიზაბავრაში

ღმერთმა კიდევ ერთი ღამაში და დიდი დღე გვაჩუქა ხიზაბავრელებს. ყოველ წელს სოფლის მრევლი ბრწყინვალე ზეიმით აღნიშნავს ეკლესიის დღესასწაულს. წლებიანდელ წელსაც არ დაურღვევია ტრადიცია ხიზაბავრის იესოს გულის ეკლესიის მრევლს და მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად აღნიშნა ეს დღე.

მოქუფრული და საწვიმრად გამზადებული დილა გათენდა 30 მაისს, გვეშინოდა, არ გაწვიმებულიყო, მაგრამ ღმრთის ნებით შესანიშნავი ამინდი დადგა.

ახალციხის, ივლიტის, ვალის, არალის და უდის საკრებულოებიდან მრავალი სტუმარი გვეწვია. ჩვენი დღესასწაული გაიზიარეს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ და სხვადასხვა სასულიერო კონგრეგაციის მონაზვნებმა. ჩვენი სტუმრები იყვნენ მამა ზურაბ კაკაჩაშვილი, მამა იეჟი შიმეროვსკი, მამა აკაკი ჭკელიძე, მამა პავლე დილი, ძმა რობერტო და „წმ. კამილოს საერო ოჯახის“ უნარშეზღუდული პაციენტები, რომლებმაც თავიანთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოაწვეეს; სტუმრებს შორის იყვნენ სოფელ ტურცხის საკრებულოს ბერ-მონაზვნები, ასპინძის რაიონის გამგებელი, ბატონი კოტე ბუცხრიკიძე, ახალციხის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ჟენია მერაბიშვილი, ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი საშა ლეკიშვილი. ზეიმზე მოწვეული გვყავდა ასპინძის კულტურის სახლთან არსებული ქალ-ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა“, რომლებიც წირვის მსვლელობის დროს სხვადასხვა გალობებს ასრულებდნენ.

წმიდა წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა. ქადაგების დროს მან ასე მოგვმართა: „... ჩვენი გული იესოს გულივით სუფთა და სპეტაკი უნდა იყოს, რათა შეგვეძლოს ერთმანეთის სიყვარული და პატიება...“.

წირვა დასრულდა პროცესიით, რომელიც ეკლესიის გარეთ აღესრულა და მიმდინარეობდა ყველა წმიდანისადმი მიძღვნილი ლიტანიის თანხლებით. მეუფე ჯუზეპეს ხელთ ეპყრა იესოს გულის ხატი, რომელიც ოჯახების კურთხევის დროს ყველა ოჯახის საოცნებო სტუმარია. პროცესიის დასასრულს მეუფემ ყველანი დაგვლოცა, გვაკურთხა და ერთმანეთის დიდი სიყვარული გვისურვა.

„წმ. კამილოს“ საბავშვო ბაღთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა და ასპინძის ქართული ხალხური სიმღერების ფოლკლორულმა ანსამბლმა „წუნდამ“ მიმზიდველი კონცერტი გამართეს. კონცერტის დასასრულს სტუმრებს სადილით გაავუმასპინძლდით. სადილის მომზადებაში „წმ. კამილოს საერო ოჯახის“ უნარშეზღუდული პაციენტებიც დაგვეხმარნენ და გემრიელი პამბურგერები მოამზადეს.

მადლობა ღმერთს, რომ მესხეთის კათოლიკე მრევლი ერთად შეგვეკრიბა „იესოს უწმიდესი გულის“ სადიდებლად.

მოწოდებულთა შეხვედრა ოთხწლიანი ციკლი ვაჟებისათვის

2008 წელს ტრადიციისამებრ ჩატარდა შეხვედრების წლიური ციკლი იმ ახალგაზრდა ვაჟებისათვის, რომლებიც ფიქრობენ საკუთარი თავი მიუძღვნან მღვდელმსახურებას, ან ეძებენ საკუთარ მოწოდებას, რათა შეეძლოთ მათაც უპასუხონ ღმრთის მოწოდებას და გაააყეთონ თავისუფალი არჩევანი.

სულ ჩატარდა ოთხი შეხვედრა: სამი – წეროვანში და ერთი – ორპირში. შეხვედრებს ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სასულიერო სემინარიის – „ქრისტეს მოციქულების“ რექტორი და თეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, მამა პიერ დიუმულენი, რომელსაც დიაკონი მიხეილ სურმავა ეხმარებოდა. სწორედ მათი აქტიური და დაუღალავი შრომის შედეგად ყოველთვის იკრიბებოდა იმდენი ახალგაზრდა ვაჟი, რამდენიც ღმერთს სურდა.

ახალგაზრდები ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენდნენ მამა პიერის მიერ ჩატარებულ საუბრებს, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თითოეულ საკითხს, რომელიც მათ ეძლეოდათ მედიტაციისათვის. ამ შეხვედრებს არ აკლდა არც წმ. წირვა, არც ლოცვა და არც გართობა. ახალგაზრდების თვალეში დიდი მონდომება, სიხარული და მომავლის იმედი გამოკრთოდა. ღმრთის მოქმედება იგრძნობოდა ამ შეხვედრებში, რაც უფრო საზვიაღებელი ხდებოდა მას.

მღვდლობა არ არის კარიერა, მღვდლობა მსახურებაა, ეს უნდა იყოს ყოველი მოწოდებულის გულში და გონებაში.

იმედს ვიტოვებთ, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალი სასწავლო წლიდანაც გაგრძელდება.

გთხოვთ, ყველას დაეხმაროთ და მხარი დაუჭიროთ ახალგაზრდებს თქვენი ლოცვებით. იფიქრეთ, რისკენ ხართ მოწოდებულნი და უპასუხეთ ღმერთს თქვენი „დიახ“ და ემსახურეთ ერთმანეთს ნებისმიერი მსახურებით, რაც ნიშანია სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომელიც გადაარჩენს სამყაროს.

შოთა გიქოშივილი
სემინარიის სტუდენტი

ექსკურსია ბეთანიაში

თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მგალობელთა გუნდი ახლადდაკომპლექტებულია. მამა ადამ ოხალს შეუმჩნეველი არ დარჩა გუნდის წევრთა მონდომება, მიღწეული წარმატებები და გადაწყვიტა ჩვენი წახალისება. გუნდმა აირჩია ექსკურსიაზე წასვლა. ავირჩიეთ საქსკურსიო ადგილი და გამგზავრების თარიღიც. დანიშნულ დროს საჭეს თვითონ მამა ადამი მიუჯდა და გავემგზავრეთ. თბილისის შემოგარენი ყოველთვის ლამაზია, ახლა კი ხშირი წვიმებისაგან ბუნება აბიზინებული და განსაკუთრებით ლამაზი გვეჩვენა.

ბეთანიის მონასტერში უმრავლესობა ნამყოფი არ იყო. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ უძველესმა ისტორიულმა ძეგლმა. შესასვლელთან გამოკრულმა ტაძრის ისტორიის წაკითხვამ ვერ დააკმაყოფილა ჩვენი ცნობისმოყვარეობა და უამრავი კითხვა დაგუსვით იქ მყოფ მღვდელს, რომელმაც დიდი სიამოვნებით გაგვცა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი.

ეკლესიის დათვალიერების შემდეგ იქვე ვილოცეთ „მამაო ჩვენო“, მოვინახულეთ წმინდათა საძვალე, ბერების სენაკები, დავათვალიერეთ ეზო,

რომელიც ძალიან სუფთა და ღამაზია, ასევე კამკამა წყარო. როგორც გვითხრეს, ამჟამად მონასტერში მუდმივად ოთხი ბერი ცხოვრობს.

უკანა გზაზე, სანამ ჩვენ მანქანამდე მისასვლელ აღმართს ავივლიდით, ერთმანეთს ჩვენს განცდილ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. ყველა კმაყოფილი ჩანდა.

ტყეში ადგილი შევარჩიეთ დასასვენებლად და სასადილოდ. კარგა ხანს დავყავით ბუნებაში. აღტაცებულები ვიყავით იმითაც, რომ ბუნებამაც ხელი შეგვიწყო (წინა დღეებში ხომ თითქმის ყოველ დღე წვიმდა).

გზადაგზა ღამაზი მინდვრის ყვავილები დაგვკრიფეთ და ასე ხელდამშვენებულები და სულიერად ამადლებულები დავბრუნდით სახლებში.

მადლობა მამა ადამს.

ნადია ჩიტაძე

კახეთის ხიზაბავრის ეკლესიის დღესასწაული

19 ივნისის მზიანი დღე იდგა.

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო ნაშუადღევს გაემგზავრა კახეთში, რათა ხიზაბავრელებთან ერთად ეზეიმა მათი საკრებულოს დღესასწაული.

ხიზაბავრაში ჩასულს კი ბევრი ხალხი დახვდა შეკრებილი, სხვადასხვა საკრებულოებიდან მოსულ სტუმრებთან ერთად.

ბავშვებმა თავიანთ კატეხისტთან ნადია ჩიტაძესთან ერთად შესავალი საგალობლით ამცნეს წმ. წირვის დაწყება მორწმუნეებს.

აღსანიშნავია ეპისკოპოსის სიხარულითა და სითბოთი წარმოთქმული ქადაგება, სადაც წმ. ნინოს თავგანწირული მოწმეობის გახსენებით ყველა კათოლიკეს მოუწოდა კახეთშიც დაამოწმონ თავიანთი კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულება და ქრისტიანული სიყვარული.

წირვის შემდეგ ყველამ გადაინაცვლა ეკლესიის ბაღში და ბავშვების მიერ წარმოთქმული ლექსებისა და შესრულებული სიმღერების შემდეგ, სუფრასთან ეპისკოპოსს გაუზიარეს საკუთარი პრობლემები და წარმატებები.

ულამაზესი კახეთის მთის გასაოცარი პეიზაჟის ფონზე იმედიანი განწყობით დავემშვიდობეთ კათოლიკური სარწმუნოების ამ ღამაზ ოაზისს.

კორესპონდენტი

მრავალჟამიერ!

აღბათ, ქართველ კათოლიკეთა შორის ბევრმა არ იცის, რომ მათ გვერდით ასე წლის ხანდაზმული და იმავდროულად ძალიან მხნე ქალბატონი ცხოვრობს. ქალბატონი, რომელმაც მრავალი შესანიშნავი ადამიანის გვერდით იცხოვრა და რომელიც ერთი საუკუნის მანძილზე ეკლესიის ტკბილ-მწარე ისტორიის უშუალო მონაწილე გახლავთ.

1908 წლის 30 ივნისს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლს კიდევ ერთი წევრი შეემატა. მიხეილ ასლანიშვილისა და ელისაბედ ნებიერიძის ოჯახში გოგონა გაჩნდა. 1909 წლის 12 ნოემბერს დიდმა ქველმოქმედმა და გამორჩეულმა პიროვნებამ, დონ დამიანე სააკაშვილმა, გოგონა ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში მონათლა და სუსანა დაარქვა. როგორც ქუთაისის რომის კათოლიკური ეკლესიის მეტრიკული წიგნი გვამცნობს, სუსანას ნათლიები იყვნენ: ანტონ მეფისაშვილი და ელისაბედ ასლანიშვილი. ნათლობას დასწრებიან: ალექსანდრე ასლანიშვილი და სვიმონ ბათმანიშვილი.

პატარა სუსანა მალე დაობლდა. მამა, მიხეილ ასლანიშვილი, რომელიც ქუთაისში საიუველირო საამქროების მფლობელი იყო, უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა. არაოფიციალური მეურვეობა დაობლებულ ოჯახზე დონ დამიანე სააკაშვილმა იტვირთა. ოჯახში დღესაც ასსოვთ, რომ დონ დამიანე ხშირად

შევივლიდა მათთან სახლში და ქალბატონ ელისაბედს მოიკითხავდა, თან გაიგებდა, რამე გასაჭირი ხომ არ ადგათ და შეველა ხომ არ სჭირდებოდათ.

სუსანა ასლანიშვილი ქუთაისის ქალთა სასწავლებელში სწავლობდა. მას იქ რუსულს, ფრანგულს, ხელსაქმეს ასწავლიდნენ. ხელსაქმეს დედაც ასწავლიდა, რამაც ის ამ საქმის უბადლო მცოდნედ და ნამდვილ შემოქმედად ჩამოაყალიბა. მისი არაჩვეულებრივი ნაქარგ-ნაქსოვები რამდენჯერმე გამოფენილიც კი იყო.

იმდროინდელი ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლის ცხოვრება ხშირი და გულითადი ურთიერთობებით ყოფილა დატვირთული. ისინი ერთმანეთს შუადღეს ყავაზე, საღამოს კი ჩაიზე პატიუბდნენ. ყავასთან თურმე ნამცხვარი, ხოლო ჩაისთან მურაბა უნდა ჰქონოდათ და ლოტოთი შეექციათ თავი. ასლანიშვილების ხშირი სტუმრები მათი მეგობრები: ფალიაშვილები, ყაუხჩიშვილები, ოცხელები, მეფისაშვილები იყვნენ. ზაქარია ფალიაშვილი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა. მას იმიტომაც სცემდნენ განსაკუთრებით პატივს, რომ თურმე განსაკუთრებული ღმრთისმოსაობით გამოირჩეოდა. ქალბატონი სუსანას ქალიშვილი თავისი დიდების, ელისაბედის, მონაყოლს იხსენებს. ზაქარია ფალიაშვილი საოცარი მლოცველი ყოფილა და ხატების წინ მუხლმოდრეკილი ხანგრძლივად ლოცულობდა ხოლმე. ქალბატონი სუსანას დედის ოჯახს მიხეილ თამარაშვილის ოჯახთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა, რაც დღემდე ამ ორი ოჯახის შთამომავლებს შორის უწყვეტ და მშვენიერ ტრადიციად გრძელდება.

ქალბატონი სუსანა 16-17 წლის იყო, როდესაც ძმამ, გიორგიმ, იგი თბილისში გადმოიყვანა სწავლის გასაგრძელებლად. მოხდა ისე, რომ იგი დაოჯახდა და ნიკოლოზ მაისურაძის მეუღლე გახდა. ქალბატონი სუსანას ძმა, გიორგი, ცნობილი ინჟინერი, რამდენიმე ენაზე საინჟინრო სახელმძღვანელოების მთარგმნელი გახლდათ. 1937 წელს მთავრობამ იგი ოქროს საათით დააჯილდოვა, ხოლო მეორე დღეს დაიჭირა, ნაჩუქარი საათი გამოითხოვა და დახვრიტა კიდევაც.

საბჭოთა ათეიზმის პერიოდში კათოლიკურ ეკლესიასაც გასაჭირი ედგა. ქალბატონი სუსანას დედა, ელისაბედი, ყოველ კვირას ახერხებდა ეკლესიაში სიარულს, თავად კი, ქმრის ბედზე შეშინებული, მხოლოდ შობასა და აღდგომას. ოჯახი ყოფილი კალინინის ქუჩაზე მდებარე კათოლიკური ეკლესიის მრევლი იყო. როგორც ცნობილია, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე კათოლიკურ ეკლესიაში სხვადასხვა დროს საწყობი, კინო, სპორტული დარბაზი იყო განთავსებული. ქალბატონი სუსანას ქალიშვილი, ციალა მაისურაძე, დღემდე განსაკუთრებული სითბოთი იგონებს თავიანთ მოძღვარს ემანუელ ვარდიძეს, რომელთანაც დიდი სიახლოვე ჰქონდა ოჯახს და რომელიც ვერ გადარჩენია კომუნისტების რისხვას. ქალბატონი ციალა ასევე იგონებს ვარდისფენობის დღესასწაულს, როდესაც ღია ფერის კაბებში გამოწყობილ ბავშვებს გულზე ვარდის ფურცლებით სავსე კალათები ეკიდათ, გარს უვლიდნენ კათოლიკურ ეკლესიას და ვარდის ფურცლებს მიწაზე აფენდნენ.

ჯერ კიდევ ქუთაისში ქალბატონი სუსანა სპორტით იყო გატაცებული. იგი გიორგი ნიკოლაძის მიერ ჩამოყალიბებული სპორტული ორგანიზაციის “შეგარდენის” წევრი ტანმოვარჯიშე იყო. დღემდე, მხნე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და აქტივობით აღსავსე უკეთილშობილესი, ყველას გულშემატკივარი ას წელს მიღწეული ქალბატონი სუსანა ყოველ დღე დილა-საღამოს, ლოცვის გარდა, ფიზიკურადაც ვარჯიშობს და ამასთანავე, თავის მეხუთე სართულზე ყოველთვის ფეხით ადის. ყოველ ბზობასა და აღდგომას ქალიშვილთან ერთად ეკლესიაში სადღესასწაულო მესას ესწრება და ეზიარება.

მრავალჯამიერ! დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ქალბატონ სუსანას. ჩვენ კი, მისი სახით დიდხანს გვყავდეს სათნოებებით, ღირსებითა და ზნეობით

შემკობილი ადამიანის მაგალითი, რისკენაც მუდამ უნდა ისწრაფვოდეს ქრისტიანი.

ნინო ღამბაშიძე

ინტერვიუ

მწერალი და მსახიობი ქალბატონი

ჩვენი სტუმარია ქუთაისის ლადო მესხიშვილის აკადემიური თეატრის მსახიობი, მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, იმერეთის სამეფო კომპლექსის საპატიო დედოფალი, ქალბატონი ნესტან კვეციანი.

გთავაზობთ გაგა შოთაძის საუბარს ქალბატონ ნესტანთან.

ქალბატონო ნესტან, თქვენ ძველი ქუთაისელი ბრძანდებით, ქუთაისის მემკვიდრე გეძახიან. ხართ 47 წიგნის ავტორი და როგორც მახსოვს, ერთ-ერთ წიგნში მოთხრობილი გაქვთ ქუთაისი ერთი უბნის შესახებ, სადაც კათოლიკეები ცხოვრობდნენ.

დიახ, მე შვიდი თაობით ვარ ქუთაისელი. თქვენ რაზეც მკითხეთ ამას ჩემს მე-9 წიგნში შეხვდებით – მოთხრობაში „დაჩეხილი ნავი და გადარჩენილი ნიჩბები“. დედაჩემის დიდი ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ დღევანდელი დავით აღმაშენებლის მოედანზე. დაახლოებით იქ, სადაც დღეს თეატრია. რაც მათ ბავშვობიდან შემორჩათ. გვიამბობდნენ და მეც კარგად დამამახსოვრდა. იმ უბანსაც კარგად იცნობდა, სადაც კათოლიკეები ცხოვრობდნენ, კერძოდ: ფილიპოვები, თუმანოვები, ვარდიაშვილები, კოსტანოვები (ესენი დღესაც არიან) და სხვები. დღევანდელი ხარების ეკლესიაში მსახურობდა პადრე დონ დამიანე სააკოვი (სააკაშვილი); რაფიელ ტიტორი, ხოლო ორგანიზტი ქალბატონი რიტა დავიდოვანა (გვარი არ მახსოვს, ცნობილი მსახიობის ცაცა ამირეჯიბის მეგობარი გახლდათ) უკრავდა ეკლესიაში და თან მოსწავლეებს ასწავლიდა ფორტეპიანოს. როგორც მახსოვს, პადრე დამიანე გარდაიცვალა 1943 წელს, მაშინ მე ძალიან პატარა ვიყავი. დედა და ბებო დაკრძალვას დაესწრნენ და თურმე ბევრი იყო ჩამოსული თბილისიდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან. დონ დამიანე ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. ქალბატონი რიტა ცოტა ხანს კიდევ იყო ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში გადავიდა და იქ გარდაიცვალა. პადრე ცხოვრობდა იქ, სადაც დღეს სასულიერო სემინარიაა. შემდეგ კი, ჩემს მახსოვრობაში იქ ოჯახები იყვნენ შესახლებული. მათ შორის, ჩემი ამხანაგი სვეტა ალფიოროვა – რუსული ენის პედაგოგი, ნაირა მიხეილიძე, ავთო ნიკოლეიშვილი და სხვები, რომლებსაც მე ვსტუმრობდი. ახლაც მახსოვს შენობის კარების შესასვლელთან ფრანგული წარწერა – „SALVE“. ეკლესიაში კი შემდეგ ლიტერატურულ-მუსიკალური სადამოები იმართებოდა. შემდეგ ორდანიც აიღეს. დედაჩემის ნაამბობი გამოვიყენე ჩემს მოთხრობაში, ხოლო რაც შეეხება დონ დამიანეს, იგი თურმე ეწეოდა ქველმოქმედებას, ფლობდა ლათინურ, ფრანგულ, რუსულ ენებს, ასწავლიდა ბავშვებს და გაჭირვებულებს ესმარებოდა.

რას იტყვით ქართველებისა და უცხოელების, კერძოდ იტალიელების ურთიერთობაზე?

ქართულ-იტალიური ურთიერთობები არ არის ახალი, მისი ფესვები საუკუნეებიდან მოდის. პირველი ქართული წიგნი იტალიაში დაიბეჭდა. მოგეხსენებათ ქრისტეფორე დე კასტელის მოღვაწეობა საქართველოში. ქართველი კაცი ყოველთვის დიდ პატივს სცემდა იტალიურ კულტურასა და

ხელოვნებას, მის პოეზიასა და მუსიკალურ სიმდიდრეს. სწორედ იტალიაში გაიგზავნა ვანო სარაჯიშვილი, ცნობილი ტენორი და მას შემდეგ ბევრმა ქართველმა მომღერალმა იმღერა მილანის სცენაზე, რაც დღემდე გრძელდება და საამაყო ჩვენთვის. მიხარია, რომ ეს მეგობრული ურთიერთობები დღესაც გრძელდება და, იმედია, არც მომავალში დაიკარგება ამის ტრადიციები. პირადად მე კი მქონდა ბედნიერება შევხვედროდი 2005 წლის 11 ოქტომბერს იტალიელ მხატვარს ანსელო პერის და მენახა მისი შესანიშნავი ნახატების გამოფენა. მხატვარმა მისახსოვრა კატალოგი, რომელსაც ამშვენებს მისივე ავტოგრაფი.

პირადად ვიცნობდი საქართველოში იტალიის ყოფილ ელჩს, ბატონ ფაბრიციო რომანოს და იტალიის კულტურის ატაშეს საქართველოში, ქალბატონ სილვანა მოცატის, რომელთანაც სამახსოვრო ფოტოებიც კი გადავიღე.

ულრმეს პატივს ვცემ მამა გაბრიელე ბრაგანტინის, რომელიც დიდ ქველმოქმედებას ეწევა ქუთაისში.

უფრო ადრე კი 1986 წელს იტალიურ ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფი გახლდათ ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში მივლინებით ერთი თვის განმავლობაში. როდესაც ისინი პირველად ჩამოვიდნენ ქუთაისში სადამო მე წავიყვანე ყოფილ კაფე „თოლიაში“, სადაც მაშინდელი ქალაქის ხელმძღვანელობას და ქარხნის დირექტორს შეხვდნენ. ამ შეხვედრის აღსანიშნავადაც დამრჩა სამახსოვრო ფოტოსურათი. ამ ერთი თვის მანძილზე ისე დავმეგობრდით, რომ როგორც კი თავისუფალ დროს იპოვიდნენ, თეატრში მოდიოდნენ სპექტაკლის სანახავად, შემდეგ კი თავიანთ შთაბეჭდილებებს მიზიარებდნენ. ჩვენი ურთიერთობის მანძილზე რამდენიმე სიტყვაც კი ვასწავლეთ ერთმანეთს მშობლიურ ენაზე და გამომშვიდობებისას ისინი ქართულად მეუბნებოდნენ: „გვიყვარხარ, წამო გოგო ჩვენთანო“, მეც იტალიურად ვპირდებოდი: “გრაციე, სი-სი“ მეთქი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ფრანკო სერალე, რომელმაც რამდენიმე სიტყვა მასწავლა იტალიურად. და ბოლოს თუნდაც ის ფაქტი, რომ შენ, გაგა ასე კარგად ფლობ იტალიურ ენას; რამდენჯერმე იქ იყავი კიდევ; პაპის თანდასწრებით იტალებებს ქართულად მოასმენინე ფლეიტაზე „სულიკო“, ასახელე საქართველო და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდი; შემდეგ ფლორენციაში და პერუჯაში დანტეს სახელობის უნივერსიტეტში გაიარე კურსები, ჩემთვის ეს საამაყოა. ეს კი იმ მეგობრობის შედეგია, რომელზეც რუსთველმა ბრძანა: „გული მისცეს გულისათვის, მეგობრობა გზად და ხილად“ და სწორედ ეს არის ის მეგობრობის ხიდი, რომელიც მომავალში, იმედია, უფრო გამყარდება და ქართველ-იტალიელთა მეგობრობა შემდგომ თაობებზეც გადავა და ბევრ სასიკეთო საქმეებში წაადგება მომავალში ორივე ქვეყანას.

ბოლოს გვინდა შემოვთავაზოთ რამდენიმე ნაწყვეტი ქალბატონ ნესტან კვეციანის მოთხრობიდან „დაჩეხილი ნავი და გადარჩენილი ნიჩბები“: ამ მოთხრობაში ქალბატონი ნესტანი იხსენებს იმ ეზოს, სადაც ბავშვობა გაატარა და, რომელიც ასე ტკბილად დაამახსოვრდა.

„...სულ ასე მხიარულება იყო ჩვენს ეზოში, ყველას ეზოში ღმერთო, ამბობენ ჩვენი დედები, ბებიები და ჩვენც ვეძებთ ღმერთს. ვეძებთ და გვგონია ღმერთი მხოლოდ ფრანგების ეკლესიაშია, რომელიც ჩვენთან სულ ახლოს იყო, თითქმის ჩვენს ეზოში. ბევრჯერ შევსულვართ იქ, მაგრამ პატრი დონ დამიანე სააკოვის (სააკაშვილი, – რედ.), რიტა დავიდოვანასა და რაფიელ ტიტორის მეტს ვერავის ვხედავდით. საღმერთო კაცი კი დონ დამიანე სააკოვი, კათოლიკე იყო ნამდვილად ტანადი, მაღალი შუბლით, ზღვის ფერი თვალებითა და ლამაზი. სხვა მღვდლის მსგავსად წვერ-ულვაშს არ ატარებდა, მუდამ სუფთად იყო გაპასული.

რიტა დავიდოვნაც მაღალი, ლამაზი ქალი იყო. კარგად ლაპარაკობდა რიტა დავიდოვნა რუსულად, ქართულად, ფრანგულად. კარგად ფლობდა ფრანგულს და ქართულს დონ დამიანე.

ბევრი საინტერესო ამბები იცოდნენ დონ დამიანემ და რიტა დავიდოვნამ. პატარა, ჩია ტანის კაცი იყო რაფიელ ტიტორი, კარგი მოქართულე. უფრო რაფიელ ტიტორს ეცალა ჩვენთვის. მე ძალიან მიყვარდნენ ისინი.

მთელი დღე საქმიანობდა დონ დამიანე. ხან რუსულ-ფრანგულად წერდა რაღაცას, ხან კითხულობდა, ხან ეზოში გამოვიდოდა და თავის ხელით დარგულ კიპარისებს უვლიდა.

ჩვენც ვუვლიდით კიპარისებს.

მერე ისევ თავის ნაწერებს გადახედავდა.

... ყოველდღე ათ საათზე ატყდებოდა ზარების რეკვა.

ჩვენ ამ დროს სკოლაში ვიყავით. გასნატულები ვიჯექით გაკვეთილებზე.

სადამოს ექვს საათზე ისევ რეკდა ეკლესიაში ზარი. ხანდახან ჩვენ ვენაცვლებოდით რაფიელ ტიტორს. მორიგეობით გვიწევდა ზარის რეკვა ყოველდღე ექვს საათზე. კვირაობით კი აღარ გვეცალა ეკლესიის ზარისთვის. ჩვენ ჩვენი საქმე გვქონდა.

... სადამოს კი ისევ ეზოში ვიყავით. სულგანაბული ვუსმენდით ხან დონ დამიანეს, ხან რიტა დავიდოვნას.

ხშირად გვაცინებდა რაფიელ ტიტორი.

ვიქტორ ჰიუგოს სახელი პირველად დონ დამიანემ გაგვაცნო, მახსოვს, შეგვეყარა ერთად მთელი ეზოს ბავშვები და დაგვასწავლა ლექსი „ბარიკადებზე“. ძალზე მოგვეწონა ეს ლექსი. ყველამ ვისწავლეთ. ქართულადაც, რუსულადაც და ფრანგულადაც დავიზეპირეთ“.

„გუყურებ ვარდს და მახსენდება ვარდისფერობა

... ჩვენთან ეზოში ყველას ჰქონდა თავის სახელზე დარგული ვარდი.

დადგებოდა მაისი და იგვებოდა ჩვენი ეზო, ეკლესიის დიდი ეზოც. ვასუფთავებდით თაღს, ზარებს, ორღანოს...

იმ დღეს კი დილიდან ხალხით ივსებოდა ეკლესიის დიდი ეზო. ყველას უნდოდა ენახა როგორ იხდიდა დონ დამიანე ვარდების დღესასწაულს.

თორმეტი საათისათვის რიტა დავიდოვნა ორღანოსთან გაჩნდებოდა, ზარის რეკვა დღესასწაულის დაწყებას გვაუწყებდა. გამოჩნდებოდა პატრი დონ დამიანე ვარდების შტოებით ხელში. უკან მოჰყვებოდა რაფიელ ტიტორი. გაისმოდა ორღანოს ხმა და სულგანაბული ვისმენდით „ავე მარიას“. წირავდა დონ დამიანე.

ბადის ორივე კუთხეში თაღში ჩასმულ წმინდანების ქანდაკებასთან ყვავილებს ვფენდით გზადაგზა.

გოგონები და ვაჟები ცალ-ცალკე მწკრივში ვიდექით თეთრი მაქმანის მოსასხამებით, თავზე ვარდების გვირგვინითა და ხელში ვარდების კალათებით“.

აქტუალური პრობლემები

სტატია, როგორც ავტორთა ჯგუფი იუწყება, 1994 წელს ვახეთ „თემში“, თებერვლის ნომერში დაიბეჭდა. წერილში განხილულია ყველა ის საკითხი, რასაც ასე მტკივნეულად განიცდიან ქართველი კათოლიკენი. სამწუხაროდ, ამ მხრივ, საქართველოში ახლა უფრო ცუდი მდგომარეობაა და მას შემდეგ არა თუ შეიცვალა რამე, არამედ მდგომარეობა უფრო დამძიმდა, სწორედ ამიტომ რედაქციამ გაითვალისწინა ავტორთა თხოვნა და გადაწყვიტა ამ წერილის გამოქვეყნება.

რედაქცია

”არ ინდომო შენი თვისტომის სახლი”

(გამოსვლა, თავი 20, 17)

გაზეთ ”მამულში” 1990 წლის ივნისის 12(20) ნომერში გამოქვეყნებული იყო ქართველ კათოლიკეთა წერილი სათაურით ”გულგრილობა არ გვეკადრება”. წერილს ხელს აწერდა ექვსი ადამიანი. ამ წერილის ერთ-ერთ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ ოთხი კათოლიკური ეკლესია, სრულიად უკანონოდ ჩამორთმეული და დახურული 30-იან წლებში ბოლშევიკური მთავრობის მიერ, ბოლო სამი წლის განმავლობაში გადასცეს მართლმადიდებლებს: სოფელ უდეში, ბათუმში, ქუთაისში და გორში. მიუხედავად კათოლიკეთა ოფიციალური მოთხოვნებისა მთავრობის მიმართ ამ ეკლესიების მათთვის დაბრუნების თაობაზე, წერილში მინიშნებული იყო, რომ არ უბრუნებენ ქართველ კათოლიკეებს თბილისში, ყოფილ პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის მიძინების ქართულ კათოლიკურ ეკლესიას და სხვა. წერილის ბოლო წინადადება იყო: ” ნუთუ ჩვენი საზოგადოება გულგრილია ზემოთ ნათქვამის მიმართ?”

ამ წერილის პასუხად გაზეთ ”თბილისში” 1990 წლის 3 ივლისს დაიბეჭდა მოკლე პროვოკაციული წერილი სათაურით ”სამწუხარო გაუგებრობა”, ხოლო პასუხის პასუხის გამოქვეყნების საშუალება არ მისცეს ქართველ კათოლიკეებს არც გაზეთ ”თბილისის” და არც სხვა ზოგიერთი გაზეთის რედაქციებში. ასე რომ, ბოლო სიტყვა პრესაში ითქვა ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ და პრესა აღმოჩნდა კათოლიკეთა მოწინააღმდეგეების მოკავშირე. გაგრძელდა კათოლიკეების უდიერი ხსენება გაზეთებში, ტელევიზიით. იწერებოდა წერილები საქმის არსის სრული არცოდნით, ან ვითომ არ ცოდნით და ასე გრძელდებოდა 1991 წლის ბოლომდე.

წლებანდელი მაისის ბოლოს გაზეთ ”თბილისში” გაჩნდა წერილი, სადაც აშკარად იგრძნობა საქმის ვითარების ობიექტურად წარმოჩინების მცდელობა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ამ გაზეთის რედაქციას.

რა თქმა უნდა აქ მოქმედებს ახალი ფაქტორებიც: შეიცვალა მთავრობა, შეიცვალა პოლიტიკური კურსიც, რომელმაც გეზი აიღო დასავლეთისკენ და კათოლიკეების დისკრედიტირების ფაქტი საქართველოში აღარ უნდა აწყობდეს დღევანდელ მთავრობას, მითუმეტეს, რომ დამყარდა დიპლომატიური კავშირი საქართველოსა და ვატიკანს შორის. ვსარგებლობთ ჩვენც ახალი ვითარებით და გვინდა კიდევ ერთხელ მივმართოთ მკითხველს პრესის საშუალებით.

1990 წელს ”მამულში” კათოლიკეთა წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოხდა კიდევ ერთი კათოლიკური ეკლესიის მიტაცება საპატრიარქოს მიერ. 1991 წლის ივლისში კათოლიკურ სოფელ ივლიტაში (ახალციხის რაიონი) მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. ამჯერად, მოქმედი კათოლიკური ეკლესიიდან გააძევეს კათოლიკე მღვდელი, მოიწვიეს მართლმადიდებელი მღვდელი და ეკლესია ამოქმედდა მართლმადიდებლური წესით. ივლიტელი და მთელი რაიონის კათოლიკეთა საჩივრები სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორისა და ყოფილი პრეზიდენტის სახელზე უპასუხოდ დარჩა. არსებობს სოფლის კრების ოქმი, სადაც 60 ივლიტელი ადგენს, რომ უნდა მოიწვიონ მართლმადიდებელი მღვდელი. სოფელ ივლიტის მოსახლეობა 300-მდე სულს ითვლის. განა შეიძლება 60 ადამიანმა გადაწყვიტოს 300-მდე ადამიანის რწმენის შეცვლის საკითხი?

აქვე გვინდა დავამატოთ, რომ იმ დროს ახალციხის რაიონის პრეფექტი იყო ბატონ ზ. გამსახურდიას მიერ დანიშნული, ყოფილი მართლმადიდებელი მღვდელი თევდორე (თამაზ აბზროლაძე), რომელმაც მოტყუებით ჩაიგდო სოფელ უდეს კათოლიკური ეკლესია. იხილეთ წერილი გაზ. ”თბილისში” – ”ფესვი სულიერ სამკვიდრებელში”, 27.05.92.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ ივლიტის ეკლესიის მიტაცება საპატრიარქოს მიერ ძალადობის უფრო მაღალი რანგის აქტია, თანაც განხორციელებული ახალი სცენარით.

აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ელემენტალურ წესსაც, რომელსაც საბჭოთა კანონმდებლობაც კი ითვალისწინებდა, რომ თუ კათოლიკური სოფლის, ან ქალაქის კათოლიკური ან სხვა ნებისმიერი მრევლის ნაწილმა მოინდომა მართლმადიდებლობის ან სხვა რომელიმე კონფესიის მიღება, და იქ არსებობს ერთი კათოლიკური ეკლესია, რომელსაც თავისი მრევლი ჰყავს, მაშინ ამ ახალი რწმენის მიმღებმა ნაწილმა თავისთვის უნდა აიშენოს ახალი ეკლესია, ხოლო ძველი უნდა დარჩეს იმ ნაწილს, თუნდაც უმცირესს, რომელსაც თავისი რწმენის შენარჩუნება სურს, ვინაიდან ეს ეკლესია მათი კუთვნილებაა, მით უმეტეს, რომ აშენებულია მათი, ჩვენ შემთხვევაში კათოლიკე წინაპრების მიერ.

თუ ივლიტის მცხოვრებთა ნაწილს, დიდს თუ მცირეს (ამას არა აქვს მნიშვნელობა) სურს მართლმადიდებლობის მიღება, აიშენოს თავისთვის ახალი მართლმადიდებლური ეკლესია, რადგან

მველი ეკლესია ისტორიულად კათოლიკურია, თავისი მრევლი ჰყავს, ივლიტელ კათოლიკეთა კუთვნილებაა და მათვე უნდა დარჩეს.

მველებურად არ უბრუნებენ თბილისელ კათოლიკეებს თბილისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას თბილისში, რომელიც არ მოქმედებს **და რომლის მიტაცებასაც აპირებს ისევ საპატრიარქო**. არ უბრუნებენ ქართველ კათოლიკეებს დანარჩენ ოთხ ეკლესიასაც: სოფელ უდეში, ბათუმში, ქუთაისში და გორში. **ამ ეკლესიებში მიმდინარეობს მართლმადიდებლური მღვლელობსახურება, ხდება მათი რეკონსტრუქცია მართლმადიდებლურ ყაიდაზე, უკარგავენ მათ კათოლიკურ სახეს. ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ყოფილ კათოლიკურ დაწყებით სკოლაში გახსნილია მართლმადიდებლური დაწყებითი სკოლა. დაგეგმილია უდეს კათოლიკური ეკლესიის გვერდით მართლმადიდებლური სემინარიის აგება.**

...ჩამოთვლილი ექვსი ეკლესიის კათოლიკურობა არ იწვევს არავითარ ეჭვს. უამრავი ადამიანია დღეს ცოცხალი, რომელსაც შეუძლია დაამოწმოს, რომ ამ ეკლესიებში 30-იან წლებამდე (მათ დახურვამდე) კათოლიკური მღვდელმსახურება მიმდინარეობდა.

ეს ეკლესიები სრულიად უკანონოდ ჩამოერთვა კათოლიკეებს 30-იან წლებში მმართველი ათეისტური რეჟიმის მიერ და დღეს მათ დაბრუნებას ითხოვენ ქართველი კათოლიკეები, მათი კანონიერი პატრონები.

ყველა ეს ეკლესია აგებულია ქართველ კათოლიკეთა მიერ; მათ კათოლიკურობაზე მეტყველებს მათი არქიტექტურული სტილი; 1903 წელს გამოცემულ ბატონ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში - "კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში" ყველა ჩამოთვლილი ეკლესია ფიგურირებს. გვინდა ავღნიშნოთ, რომ ზ. ჭიჭინაძე მართლმადიდებელი გახლდათ.

უწმინდეს რომის პაპს არცერთი ამ ეკლესიათაგანი არ გაუუქმებია. ყოველივე აქედან ცხადია, რომ ყველა ეს ეკლესია დღესაც კათოლიკეთა კანონიერი კუთვნილებაა. აქ გვინდა დავსვათ კითხვა: როგორ შეიძლება ერთი კონფესიის მიერ მეორე კონფესიის ეკლესიების მიტაცების ფაქტის კვალიფიცირება (მიტაცება ხდება მთავრობის მონაწილეობით). პასუხი ერთია - ეს არის ბოროტება, ეს არის ძალადობა.

აქ გვინდა გამოვთქვათ გაკვირვება იმის თაობაზე, რომ როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და მისი კვერთხის ქვეშ მყოფმა ეკლესიამ მიიტაცეს ხუთი კათოლიკური ეკლესია უდეში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ივლიტაში, როგორ ავიწყდებათ ღმერთის მიერ ნაბოძები ათი მცნებიდან მეათე მცნება: "არ ინდომო შენი თვისტომის სახლი.." (გამოსვლა, თავი 20,17).

აქვე ჩნდება მეორე ბოროტებაც, როდესაც ეკლესიის მიტაცების ფაქტებს ცდილობენ მისცენ პატრიოტული პოზიციის ხასიათი. როგორც ბრძანებენ კათოლიკობის მტრები -კათოლიკობა ხელს უშლის საქართველოს სულიერ მთლიანობას.

1991 წლის ნოემბერში თბილისელ კათოლიკეთა ჯგუფი მიიწვიეს დემოკრატიული წესით არჩეულ უზენაეს საბჭოში, სადაც შედგა მათი შეხვედრა ამ საბჭოს სინდისის თავისუფლების ქვეკომისიასთან (თავმჯდომარე გახლდათ დეპუტატი, ბატონი აკაკი კობაძე). კათოლიკეები მოითხოვდნენ თბილისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის დაბრუნებას და შეხვედრაც ამ მიზნით მოხდა. მოგვყავს ქვეკომისიის თავმჯდომარის პასუხი კათოლიკეთათვის: " კათოლიკობა საქართველოში ხელს უშლის საქართველოს სულიერ მთლიანობას, ადრე კათოლიკეებს ფრანგებს გემახდნენ, დღეს მოგმართავთ, როგორც ქართველებს: დედა - სიონში იარეთ! ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, **იგივე გვითხრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც, რომელთანაც გახლდით ამ საკითხის თაობაზე, რამდენიმე დღის წინ, მე და დეპუტატი, ბატონი ალექო მელაძე.**

გასაოცარია, როგორ შეიძლება ბოროტების გამართლება პატრიოტული მოტივებით.

თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში მიმდინარეობს ომი კათოლიკობის აღმოსაფხვრელად ქართველთა შორის(ეს ომი არ ეხება საქართველოში მცხოვრებ პოლონელ, სომეხ, ასირიელ. გერმანელ და სხვა არაქართველ კათოლიკეებს). მათი ძალით მართლმადიდებლობისათვის ბრძოლის ხერხი, როგორც ხედავთ ელემენტარულია. ქართველ კათოლიკეებს ქალაქში ან სოფელში ართმევენ მათდამი კუთვნილ ერთადერთ ეკლესიას (**ხდება სრული იგნორირება იმ ფაქტისა, რომ კათოლიკეები ჩივიან, ოფიციალურად მოითხოვენ ამ ერთადერთ ეკლესიას. ამის მაგალითებია ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ეკლესიების მიტაცება**) და ამით სურთ იძულებით მოიყვანონ კათოლიკეები მართლმადიდებლურ ეკლესიაში (იძულებით იმიტომ, რომ სხვა კათოლიკური ეკლესია არ არის ამ ქალაქში, ან სოფელში) იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ისინი რწმენას შეიცვლიან და მიიღებენ მართლმადიდებლობას. ეს გახლავთ არაადამიანური დამოკიდებულება და ცინიზმი.

დღეს, დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ, ეკლესიების მითვისება შეწყდა. სამაგიეროდ, არცერთი ამ ეკლესიათაგანი არ დაუბრუნეს კათოლიკეებს. სულ ახლახანს საქართველოს მთავრობამ უარით გამოისტუმრა სოფ. უდეს კათოლიკეები, რომლებიც მათთვის ეკლესიის დაბრუნებას

ითხოვდნენ. ამ მოთხოვნას პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის, ბატონ თენგიზ სიგუას სახელზე, ხელს აწერდა 435 ადამიანი (უდეში მცხოვრები). უდეში არქივისკოპოსის მიერ გამწესებულ კათოლიკე მღვდელს მართლმადიდებლობის მომხრე ახალგაზრდები სოფელში არ უშვებენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან.

ქართველ კათოლიკეთა საჩივრებს სამთავრობო ორგანოების ნებისმიერ დონეზე მათი ეკლესიების მიტაცების გამო ერთი და იგივე პასუხი მოსდევს (სიტყვიერი), რომ ეს ხდება პატრიარქ ილია მეორის სურვილით.

საკვირველია, რატომ წყვეტს დღეს კათოლიკეთა და სხვა კონფესიათა პრობლემებს, მათი ყოფნა არყოფნის საკითხსაც კი, საქართველოში მართლმადიდებელთა პატრიარქი? ვინ მიანიჭა მას ეს უფლება? მინდა შევახსენოთ ყველას, რომ საქართველოს, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს კათოლიკეებს მეურვეობს ვატიკანი, უწმინდესი რომის პაპია მათი პატრიარქი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო სიტყვას, გინდაც ფორმალურს, კათოლიკური ეკლესიების მართლმადიდებლებისათვის გადაცემის შესახებ, ამბობს მაინც საქართველოს ოფიციალური მთავრობა და ხელისუფლება.

აღფოთებას იწვევს შემდეგი ფაქტები: 1989 წლის ნოემბერში თბილისის სასულიერო აკადემიაში ცნობილ მეცნიერს, ვატიკანის ინსტიტუტის პროფესორს, კათოლიკე მღვდელ მიქაელ არანცს, ეროვნებით ბასკს, რომელიც მიწვეული იყო აკადემიაში აღმოსავლური ლიტურგიის სალექციო კურსის წასაკითხად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ, სტუდენტებმა რიგით მეორე ლექციაზე მოუწყვეს ობსტრუქცია, ბნელეთის მოციქულს უწოდებდნენ და გააძევეს აკადემიიდან. საგულისხმოა, რომ პროფესორმა ისე მიატოვა საქართველო. რომ მისთვის ბოდიშიც კი არ მოუხდიათ.

თბილისში ოფიციალური მოწვევით იმყოფებიან დედა ტერეზას (გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატი) კონგრეგაციის დები, რომლებიც გულმოდგინედ მოღვაწეობას ეწევიან: პატრონობენ და უვლიან უპატრონო ავადმყოფებს, მარტოხელა ადამიანებს. ეს დები დიდ შევიწროებას განიცდიან. ისინი გამოასახლეს მათთვის სპეციალურად გამოყოფილი რეზიდენციიდან და ოთხი ქალი შეასახლეს ჩვეულებრივ ორთახიან ბინაში, სადაც ერთი ოთახი განუყოფელია სალოცავად და ამიტომ მათ არა აქვთ სათანადო პირობები მათი სამსახურის სრულყოფილად შესრულებისათვის.

აგრეთვე, მოგახსენებთ, რომ ქუთაისის კათოლიკური ეკლესია ბოლო დროს საკონცერტო დარბაზად გადააქციეს, სადაც ორღანიც დაიდგა და როგორც გავიგეთ ეს ორღანი 1989 წელს დაშალეს არასპეციალისტებმა, ჩაქუჩიც კი იხმარეს დაშლის დროს და ნაწილებად ქცეული ორღანი ჩააწყვეს ყუთებში და სარდაფში ჩაიტანეს და ამ ორღანის აღდგენა ალბათ შეუძლებელიც არის. ეს ვანდალური აქტი მთლიანად მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა სინდისზეა. დღეს საქართველოში სულ სამი ორღანია...

რომის კათოლიკობა საქართველოში შემოვიდა მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, მანამდეც, რომის და საბერძნეთის ეკლესიების 1054 წლის კონფლიქტის შემდეგ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ქართული ეკლესია არ იყო ჩამოშორებული რომს. აი როგორ იწყება რუსუდან დედოფლის წერილი რომის პაპის ონორიო მესამესადმი: "უწმიდესს პაპს, მამას და ყველა ქრისტიანების მთავარს, წმიდა პეტრეს ტახტზე მჯდომარეს"..*(მ.თამარაშვილი - "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", თავი I, გვ.7). წერილი დაწერილია მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, ინახება ვატიკანის არქივში და არ გახლავთ ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ქართული ეკლესია არ იყო გაყრილი რომს მე-13 საუკუნეშიც.*

ცნობილია, რომ ქართველი კათოლიკეების წინაპართა ნაწილს საერთოდ არასდროს მიუღია მართლმადიდებლობა.

რომის კათოლიკობა არ არის შემოტანილი საქართველოში დამპყრობელთა მიერ ცეცხლითა და მახვილით. ის ჩვენს საშობლოში გაავრცელეს მისიონერებმა, ჭეშმარიტი ქრისტიანობითა და ლოცვით, მაცხოვრისადმი წრფელი სიყვარულით. მისიონერი პატრები და შემდგომ ქართველი პატრებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ნამდვილი სათნოებით, მაღალი განათლებით. არცერთი მათგანი არ ყოფილა ზნედაცემული ადამიანი, ან გამომძლავი, ხოლო კომუნისტური რეჟიმის არსებობის დროს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არც ერთი არ გამხდარა სუკის აგენტი.

მე-14 საუკუნეში კათოლიკობა ისე მომძლავრდა, რომ საეპისკოპოსო კათედრაც კი გაჩნდა საქართველოში. კათოლიკობა არც შემდგომ შესუსტებულა. ქართველი მეფეები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ევროპელ მისიონერებს საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმეში. მისიონერები ექიმებიც იყვნენ და ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ.

კათოლიკობამ გადაარჩინა მესხეთ-ჯავახეთი სრულ გამაჰმადიანებას.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკურმა მთავრობამ თითქმის ყველა ქართველი კათოლიკე მღვდელი, ან დახვრიტა, ან გადაასახლა, ხოლო კათოლიკური ეკლესიები დახურა. მთელ საქართველოში 1930-იანი წლებიდან 1970 წლამდე მოქმედებდა მხოლოდ ერთი წმ. პეტრეს და წმ. პავლეს კათოლიკური ეკლესია, თბილისში ყოფ. კალინინის ქუჩაზე, რომელშიც მაგ წლებში მსახურობდა ყოველთვის მხოლოდ ერთი, სხვადასხვა მღვდელი,

ქართულმა კათოლიკობამ საქართველოს მისცა ისეთი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ირბახი, XVII საუკ.), რომში პირველი ქართული სტამბის შემქმნელი.

მიხეილ თამარაშვილი (კათოლიკე მღვდელი), ცნობილი მკვლევარი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მამულიშვილურ საქმეს შეაღწია. მისმა წიგნმა "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" საყოველთაო აღიარება ჰპოვა. გაზეთმა "ივერიამ" თავის დროზე ამ წიგნს "მეორე ქართლის ცხოვრება" უწოდა. ეს წიგნი არ გამოცემულა 1902 წლიდან. გარკვეული ძალები დღესაც აფერხებენ მის გამოცემას.

ძმები ზუბალაშვილები, რომელთა უდიდეს საქველმოქმედო ამაგს სამშობლოს წინაშე ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს.

ზაქარია ფალიაშვილი, ორი შედეგის, ორი ქართული ოპერის "აბესალომ და ეთერის" და "დაისის" ავტორი, რომელთა ბადალი ჯერ-ჯერობით არ შექმნილა ქართულ მუსიკაში.

კათოლიკეები იყვნენ ცნობილი მეცნიერები მიხეილ თარხნიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ეროვნული უნივერსიტეტის პირველი რექტორი და სხვები.

კათოლიკობა მიიღეს: სულხან-საბა ორბელიანმა, საკმაოდ სარწმუნო წყაროებით **თეიმურაზ** პირველმა, ქეთევან წამებულმა. ცნობილია ვახტანგ VI-ის და კათალიკოს ანტონ პირველის გაკათოლიკების ამბავი.

ცნობილია კათალიკოს ანტონ პირველის გაკათოლიკების ისტორია, ვიცით აგრეთვე მრავალი მონაცემით ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბას საქართველოს კათოლიკობაზე მოქცევის დიდი სურვილის შესახებ.

კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის საქართველოში არასოდეს ყოფილა ანტაგონიზმი. მათ შორის ყოველთვის მეგობრობა სუფევდა.

აქ გვინდა შევახსენოთ მათ ვინც აცხადებს, რომ კათოლიკობა საქართველოს სულიერ მთლიანობას არღვევს, ათი საუფლო მცნებიდან კიდევ ერთი მცნება: "არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ" (გამ. 20,16). კათოლიკობის წინააღმდეგ ქართველთა შორის ომის ნამდვილი მიზეზია ამბიცია და ინსპირირება რუსეთიდან, რასაც ველიკორუსული ფესვები აქვს. ცხადზე ცხადია, რომ კათოლიკობა სრულებით არ არღვევს საქართველოს სულიერ მთლიანობას, ხოლო რელიგიურ შეუწყნარებლობას შეუძლია შექმნას დესტაბილიზაციის ახალი კერები.

გარდა ყოველისა, რომის კათოლიკობა ა საქართველოში რეალობაა, არსებობს მე-13 საუკუნიდან ნ, საქართველოს სულიერი ცხოვრების ნაწილია და ვისაც გამოაქვს კათოლიკობისათვის სასიკვდილო განაჩენი, მომაკვდინებლად სცოდავს ღმერთისა და ერის წინაშე.

პოლიტიკური თვალსაზრისით კათოლიკობა საქართველოსათვის ერთ-ერთი ხიდი იყო და არის დღესაც დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დასამყარებლად და ბრძოლა კათოლიკობის აღმოსაფხვრელად საქართველოში წარმოადგენს სრულ პოლიტიკურ სიბეცეს, თავი რომ დავანებოთ მორალურ ნორმებს.

გაკვირვებას იწვევს კათოლიკობის მოწინააღმდეგეთა კიდევ ერთი არგუმენტი. გაიძახიან: "წინაპრების რწმენას დაუბრუნდით".

ჯერ ერთი: განა შეიძლება ადამიანს მოსთხოვო იწამოს ის რელიგია, რომელიც სწამდათ მის წინაპრებს, მაშინ როდესაც ის უკვე სხვა რელიგიას აღმსარებლობს?

მეორეც თუ ასეა, ქართველების წინაპრები აღიარებდნენ რომის პაპის უზენაესობას, რაც დღეს კათოლიკობას ნიშნავს.

მესამე: ჩვენი წინაპრები წარმართებიც იყვნენ.

და მეოთხე: თუ რომელიმე ქართველი მაჰმადიანი დღეს ქრისტიანობას მიიღებს, ეს არგუმენტი მაჰმადიანობის სასარგებლოდაც იმოქმედებს, რადგანაც მისი წინაპრები სულ ცოტა 300 წლის განმავლობაში მაჰმადიანები არიან.

როგორც ვხედავთ, ეს არგუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა რელიგიების მომხრეთა მიერ, მათთვის ხელსაყრელი წინაპრების მითითებით და ამიტომაც იწვევს ღიმილს.

იბადება მთელი რიგი კითხვებისა, მაგალითად: რა სამართლებრივი ნორმებით სარგებლობდნენ მთავრობის ხელმძღვანელები, როდესაც იღებდნენ ისეთ არაადამიანურ გადაწყვეტილებას, როგორიც არის კათოლიკეთა ეკლესიების მართლმადიდებლებისათვის გადაცემა?

ჯ. პატიაშვილის სინდისზეა სოფ. უდეს ეკლესიის გადაცემა მართლმადიდებელთათვის, 1987 წელს.

გ. გუმბარიძის დროს, 1989 წელს მოხდა ბათუმის, გორის და ქუთაისის კათოლიკური ეკლესიების გადაცემა.

ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მოხდა სოფ. ივლიტას მოქმედი ეკლესიის მითვისება მართლმადიდებელთა მიერ, 1991 წლის ივლისში და საჩივარი, შეტანილი ყოფ. პრეზიდენტის სახელზე უპასუხოდ დარჩა (საჩივარი, შეტანილია 14. X. 91 წ.).

პატიაშვილმა და გამსახურდიამ არ მოინდომეს დაებრუნებინათ კათოლიკეთათვის თბილისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ზეწოლა ვერ გაამართლებს ამ მოღვაწეთა თვითნებობას.

გაკვირვებას იწვევს, რომ მთელ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში არ აღმოჩნდა ერთი ადამიანიც კი, რომელიც ყველას გასაგონად, პრესით, ან ტელევიზიით გამოთქვამდა პროტესტს, განაცხადებდა: "ნამდვილი მართლმადიდებელი არ იკადრებს სხვისი ეკლესიის მიტაცებას. მას არ სჭირდება სხვისი ტაძარი, ნამდვილი მართლმადიდებელი ვერ მოიქცევა არაქრისტიანულად".

როგორ არ აღმოჩნდა მთელს საქართველოში ერთი ადამიანიც კი, რომელიც ასევე ყველას გასაგონად, პრესით, ან ტელევიზიით განაცხადებდა, რასაც ვაცხადებთ ჩვენ, ქართველი კათოლიკეები: "სხვისი ეკლესიების მიტაცება არის ბოროტება და რაც მეტ ბოროტებას ექნება ადგილი საქართველოში, მით უფრო შეაქცევს ზურგს მაცხოვარი ჩვენს სამშობლოს, რომელსაც დღეს განსაკუთრებით სჭირდება იესოს მფარველობა".

ჩვენ, ქართველი კათოლიკეები კატეგორიულად მოვითხოვთ ჩვენდამი კუთვნილი ექვსივე ეკლესიის დაბრუნებას (უდეს, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ივლიტას და თბილისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები).

ერთი ეკლესიაც რომ დარჩეს დაუბრუნებელი, თავს დისკრიმინირებულად ჩავთვლით საკუთარ სამშობლოში.

კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ მომავალში საქართველოს მთავრობამ და ხელისუფლებამ არასდროს დაუშვას არცერთი კათოლიკური ეკლესიის საპატრიარქოს ან სხვა კონფესიის მიერ მისი (კათოლიკური ეკლესიის) მიტაცება, იქნება ის მოქმედი, თუ არამოქმედი.

ჩვენ ვიბრძობებით იმიტომ, რომ კათოლიკობა ჩვენი რწმენაა და ჩვენი ვალია, ღმერთისა და ერის წინაშე დავიცვათ ის საქართველოში.

ვიბრძობებით იმიტომაც, რომ შეგვეძლოს ჩვენ და ჩვენ შთამომავლებს ცხოვრება საკუთარ სამშობლოში, რადგანაც აუტანლად მძიმეა ცხოვრება ისეთ ქვეყანაში (მით უმეტეს სამშობლოში), სადაც ებრძვიან შენს რწმენას, შენზე მოძალადე არის შენი თანამემამულე, რომელიც ტაძრებს გართმევს და ღმერთისა და ერის სახელით მოგიწოდებს ძმობისა და ერთობისაკენ.

არ გვინდა წერილი დავამთავროთ (ამ შემთხვევაში) ფარისევლური ფრაზით: "ღმერთმა შეუნდოს ყველას". პირიქით, გვინდა შევახსენოთ ყველას, რომ მიწიერთათვის ზეციური სამართალიც არსებობს და ზეციური განაჩენიც და რომ მაცხოვარი ვერ ეგუება ვერც ბოროტებას და ვერც ფარისევლობას.

ირაკლი მაჭავარიანი

სერგო ფეიქრიშვილი

(სრულიად საქართველოს მ.თამარაშვილის

სახ. საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტი)

ნანა საფარიშვილი

P.S. ლათინური მესა (წირვა) დღეს სრულდება ქართულ ენაზე ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში.

1992 წელს ქართველ კათოლიკეთა მიერ შედგენილ იქნა საჩივრის მთელი პაკეტი, ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელზე, რომელიც მას გადაეცა პირადად 1992 წლის მარტში (მაშინ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა). პასუხი ამ საჩივარზე გაცემული არ არის დღესაც, 1994 წლის თებერვალში.

თბილისის ღვთისმშობლის მიძინების (ზეცად აღყვანების) ეკლესია დაუბრუნდა საქართველოს კათოლიკეებს, მის კანონიერ პატრონებს საქართველოს ხელისუფლების მიერ 1998 წელს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქართველოს პრეზიდენტობის დროს

ინფორმაცია

სიახლეების მოლოდინში

რელიგიათა საბჭოს სოციალური კონცეფციის მზადება საბოლოო ფაზაში შევიდა

16-17 ივნისს ჩატარდა რელიგიათა საბჭოს მორიგი სამუშაო შეხვედრა, რომელიც სოციალური კონცეფციის შემუშავების დამასრულებელ ეტაპს წარმოადგენდა (სოციალურ კონცეფციაზე ერთობლივი მუშაობა 2007 წელს დაიწყო). საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ინიციატივით გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, რელიგიათა საბჭოს წევრებმა მიზნად დაისახეს სოციალური პროგრამების შემუშავება, რომელსაც საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ეკლესია და რელიგიური გაერთიანება უერთდება.

სოციალური დოქტრინა, სამოქმედო პროგრამა და, აქედან გამომდინარე, მრავალრიცხოვანი აქტივობები დღემდე მხოლოდ რომის კათოლიკე ეკლესიას ჰქონდა. სოციალური დოქტრინა კათოლიკე ეკლესიამ საუკუნეზე მეტი ხნის წინ 1891 წელს გამოქვეყნდა. რომის პაპის ლეონ XIII-ის ენციკლიკა „ახალ საგანთა შესახებ“ საფუძველს უდებს ეკლესიის მიერ ადამიანთა უფლებების დაცვას, გაჭირვებულებზე ზრუნვას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რამდენიმე წლის წინ სოციალური პროგრამა მიიღო მოსკოვის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, თუმცა ეს პროგრამა პრაქტიკულად ჯერ არ ამოქმედებულა. სოციალურ დოქტრინაზე მუშაობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც. სახალხო დამცველთან მოქმედმა რელიგიათა საბჭომ გასულ წელს დაიწყო აქტიური საქმიანობა სოციალური პროგრამის კონცეფციის მოსამზადებლად. დღეისათვის ეს დოკუმენტი პრაქტიკულად მზად არის. უახლოეს ხანში მის საბოლოო შეთანხმებულ ვარიანტს დაამტკიცებს რელიგიათა საბჭო. წლის ბოლოსთვის კი დოკუმენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალი, დოგმატურად და ისტორიულ-ტრადიციულად ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკლესიები და რელიგიური ჯგუფები მოქმედებენ და ხშირ შემთხვევაში მათ უჭირთ კიდევ სარწმუნოებრივ საკითხებში საერთო ენის გამონახვა, ეს ინსტიტუტები თანხმდებიან საზოგადოების ყველა ცალკეული წევრის კეთილდღეობაზე იზრუნონ, დაინტერესდნენ თითოეული კონკრეტული ადამიანის ყოველდღიურობით, მისი ტკივილით, გაჭირვებით, აღმოუჩინონ დახმარება და თანადგომა, აქციონ სოციალური მსახურება ერთობლივი პასუხისმგებლობის სივრცედ. სოციალური მსახურება შეუქმნის შესაძლებლობას სხვადასხვა ეკლესიებს კოორდინირებულად წარმართონ მუშაობა სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლიობაში იზრუნონ სოციალურად დაუცველთა საკეთილდღეოდ.

ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები სოციალური პროგრამის დამტკიცების შემდგომ კისრულობენ პასუხისმგებლობას, რომ ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და სოლიდარობის ატმოსფეროში, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის თავისუფლებებისა და უფლებების საერთაშორისო ნორმების დაცვით, ერთობლივად, მაგრამ საკუთარი მოძღვრებების, ტრადიციებისა და დამოუკიდებლობის შებღალვის გარეშე, აწარმოონ დიალოგი ერთმანეთთან და საზოგადოებასთან, წარმართონ საზოგადოებრივი, კულტურული, ჰუმანიტარული, მშვიდობისმყოფელი, უფლებათა დაცვისა და ეკოლოგიური საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს, მისი სტრუქტურების და რელიგიური ინსტიტუტების მისია, მიზნები და, ცხადია, შესაძლებლობებიც საკმაოდ განსხვავებულია, მათ აქვთ მზაობა ითანამშრომლონ ჩვენი საზოგადოების სასიკეთოდ. რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ მეტად წარმატებულად, თუ სახელმწიფო სტრუქტურები ხელს შეუწყობენ, ითანამშრომლონ საზოგადოების მორალური და სულიერი სიჯანსაღის განმტკიცებაზე, ოჯახის ინსტიტუტის დაცვაზე, სამშვიდობო მისიების აღსრულებაზე, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროებში, ასევე, ჯანმრთელობის, სოციალური და გარემოს დაცვის პრობლემებზე.

უკანასკნელ წლებში მრავალი სასიკეთო რამ კეთდება, რეფორმების დადებით შედეგსაც მრავალი ადამიანი რეალურად გრძნობს. გასაკეთებელი ძალიან ბევრია და თითოეული მოქალაქის, საზოგადოების კეთილდღეობა ყველა რელიგიური გაერთიანების კონსოლიდაციას მოითხოვს.

ახალ საქართველოს მთელი საზოგადოება უნდა აშენებდეს და ამ პროცესიდან რომელიმე რელიგიური, ეთნიკური ჯგუფის ამოგდება, მისი იგნორირება უარყოფით კვალს დაასვამს ამ აღმშენებლობას. ეკლესიებს, რელიგიურ გაერთიანებებს აქვთ დიდი სურვილი მაქსიმალურად დაიხარჯონ ქვეყნის საკეთილდღეოდ, თავის მხრივ სახელმწიფომაც ხელი უნდა შეუწყოს რელიგიურ ინსტიტუტებს სრულად ჩაებან ამ ფერხულში, იზრუნოს ტოლერანტული გარემოს განმტკიცებაზე და რელიგიური ნიშნით შევიწროების ყოველი, თუნდაც სულ უმნიშვნელო გამოვლინებაც მწვავე მსჯელობის საბაზად უნდა იქცეს.

საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ეკლესიათა და რელიგიურ ჯგუფთა სიძლიერე მათ რიცხოვნულ სიმრავლესა ან მატერიალურ ძალაში როდია, არამედ მორალურ, სულიერ, თუნდაც ინტელექტუალურ შესაძლებლობებში.

გავიხსენოთ საქართველოში ლათინური წესის რომის კათოლიკე ეკლესიის არსებობის ისტორია. ამ რვასაუკუნოვანი მოღვაწეობის განმავლობაში საქართველოში ლათინური წესის კათოლიკეთა რაოდენობა 1-1,5%-ის ფარგლებში მერყეობდა. ამდენივეა ახლაც. მაგრამ კათოლიკეები ყოველთვის წარმოადგენდნენ „ამა სოფლის მარილს“ – ქართული ინტელიგენციის, ელიტის ბირთვს. ამიტომ არავის უკვირს, რომ პირველი ქართველი ენციკლოპედისტიც, პუბლიცისტიც, პირველი წიგნის ავტორიც, ლექსიკოგრაფიც, ზღაპრების გამომცემელიც, პროფესიონალი ელჩებიც, მოგზაურებიც და მრავალი სხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეებიც კათოლიკე გახლდათ. XIX საუკუნის ცნობილი მეწარმეები და მეცენატები, მუსიკოსები და მხატვრები, მეცნიერები და ინჟინრები კათოლიკეები იყვნენ. დღეს არავის გვიკვირს, რომ ქართულ ეროვნულ ვალუტაზე გამოსახულია გამოჩენილი კათოლიკე კომპოზიტორი, რომლის მუსიკა საქართველოს ჰიმნს უდევს საფუძვლად; არც პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის უკვირს ვინმეს და არც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველი კათოლიკეების დვაწლი ანცვიფრებს, იმიტომ რომ, ამ ადამიანების ერთ-ერთი უპირველესი ადამიანური სიქველე მოყვასისათვის უანგარო მსახურება იყო დასახული ეკლესიის მიერ.

საქართველოში მისი დამოუკიდებლობის პირველივე დღიდანვე კათოლიკე ეკლესია აქტიურად იღვწის სოციალური მსახურების გაფართოებისათვის. საქართველოში წმიდა საყდრის პირველმა დესპანმა მონსინიორ ჟან-პოლ გობელმა, 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სამოქალაქო ომში ჩათრეულ ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა ათასობით ტონა საკვები პროდუქტით უანგაროდ დაეხმარა საქართველოს. ამჟამინდელი დესპანი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი მრავალ პროგრამას ანხორციელებს სოციალურ-ინტელექტუალური დახმარების თვალსაზრისით. სულ მალე მისი დაფინანსებით მომზადებულ და გამოცემულ ქართული სასულიერო მწერლების სამტომეულს

ინილავს მკითხველი. სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს საქართველოში მოღვაწეობის ყოველი დღე სოციალური მსახურების საუკეთესო მაგალითია. ათასობით ადამიანი, არაკათოლიკე სარგებლობს საქართველოს „კარიტასის“, წმ. კამილოს ორდენის პოლიკლინიკის – „კაცთა მაცხოვარის“, „ინერ-საქართველოს“, „წმ. ევჯიდოს“ და სხვა დონორ-ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტებით.

მიუხედავად გაწეული ფართო საქველმოქმედო საქმიანობისა, იმის გამო რომ კათოლიკე ეკლესიას არ აქვს იურიდიული სტატუსი, საქართველოში რელიგიათა კანონის არარსებობის გამო, არ გააჩნია სამართლებრივი ბაზა სრულად გამოავლინოს აქტივობები სოციალური პროგრამების განსახორციელებლად.

იმედია, ახლო მომავალში ახლადარჩეული პარლამენტი გამოიტანს დასამტკიცებლად კანონს რელიგიათა შესახებ. მანამ კი რელიგიათა საბჭოს მიერ მომზადებული კონცეფცია პროგრამის სახეს მიიღებს და თავის წვლილს შეიტანს სოციალური ფონის გაუმჯობესებაში და ეკლესიებს მისცემს საშუალებას სრულად ჩაებან საქველმოქმედო საქმიანობაში.

რელიგიათა საბჭოს მიერ მომზადებულ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის უფლებების დაცვას და, რაც უადრესად მნიშვნელოვანია, კონცეფციაში ხაზგასმულია რომ, – „ადამიანის უფლებების დაცვა არა იმიტომ, რომ ქვეყანამ სხვადასხვა ევროპულ თუ საერთაშორისო სტრუქტურებში მოახერხოს გაწევრიანება, არამედ იმიტომ, რომ ის აუცილებელია თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისათვის, აუცილებელია ჩვენი ფიზიკური არსებობისათვის.“

ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას შორის კონკრეტული ადამიანისა და მისი თავისუფლების დაცვის მთავარი ღირებულების გარშემო ჩამოყალიბდეს კონსენსუსი.

კონცეფციაში მთავარი ადგილი დაეთმო მედიისა და რელიგიური უმცირესობების ურთიერთობებს და განათლების პრობლემას. კერძოდ კი აღინიშნა, რომ, – „ქართული მედიასივრცე წლების განმავლობაში რელიგიური უმცირესობების შესახებ საზოგადოებაში არსებული შეუწყნარებელი განწყობებისა და სტერეოტიპული წარმოდგენების დანერგვის ერთ-ერთი იმთავრესი წყაროა“. მართლაც წლების მანძილზე, უფრო ზუსტად კი 1990 წლიდან ქართული მედია ან დამახინჯებით წარმოადგენდა კათოლიკე ეკლესიის საქმიანობას ან საერთოდ დუმდა. ქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის, ზოგიერთი პუბლიკაცია კი რელიგიურ, ეთნიკურ შუღლისა და მტრობის გამღვივებლად წარმოგვიდგება.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჯეროვანი განათლების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაზე საუბარი. არასრულფასოვანი განათლება და ინტელექტუალური სიბნელე ყოველგვარი სიდუხჭირისა და ბოროტების საფუძველია“, – აღნიშნულია კონცეფციაში და შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ამ აზრს. ვინაიდან ღრმა საფუძვლიან ცოდნას, ღირსებას, პატიოსნების განცდასა და არჩეული გზის ერთგულებას შეუძლია აზიაროს ადამიანი უზენაეს და წარუვალ ღირებულებებს.

სპეციალური კორესპონდენტი
ბაკურიანი-თბილისი

განუსვენე მათ, უფალო

ჩვენი დოდო

„დავიბადე და ბავშვობა გავატარე ქ. თბილისში, გოგოლის ქუჩაზე; მეამაყება, რომ ამ ქუჩაზე იმჟამად ჩემი საყვარელი პოეტი მურმან ლებანიძე

ცხოვრობდა... ყმაწვილქალობაში ჩემს სამ დასთან ერთად ვცხოვრობდით მშობლიურ ბაღდათში. ადრეულ ასაკში გავთხოვდი და აუუ! რამდენი წელია უკვე ჩემი ძვირფასი ქუთაისის მკვიდრი ვარ, პატიოსნად და თავდადებით ვემსახურები მის მაჯისცემას“.

ეს ჩვენი საყვარელი დოდო ნებიერიძის მოგონებებიდან არის ამოღებული. სამწუხაროა, რომ მასზე უკვე წარსულში ვსაუბრობთ, არადა, როგორ ველოდით მას იმ დღეს, 12 ივნისს სტიგმელთა კონგრეგაციის ზეიმზე, როცა მამა კარლოს მღვდლობის 25-ე წელსაც აღნიშნავდა ჩვენი მრევლი. თითქოს ყველას თვალში გვაკლდა, ქუთათურებსაც და თბილისიდან მოწვეულ სტუმრებსაც... გამორჩეული ქალბატონი, გამორჩეული თავისი ცხოვრების სტილით, პოეტური ხასიათით, რწმენით, ოპტიმიზმით ... „სევდიანი გული არ მაქვს, დამაქვს ნაზი ფიქრები, ამქვეყნად თუ ცაღად დავალ, მაინც გამძლე ვიქნები“.

საოცრად ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა. სტუდენტობის დროს მას ჰქონდა ბედნიერება მეუღლესთან ერთად დიდი გალაკტიონის მეზობლად ეცხოვრა თბილისში, რომელმაც მშვენიერი ლექსი მიუძღვნა მას. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მთელი ცხოვრებით ჩაფლულიყო პოეზიაში და ლექსებით გამოეხატა თავისი „გულის თრთოლვა“ (ასე უწოდა მან თავის ბოლო კრებულს).

კათოლიკური რწმენით გალია ეს წუთისოფელი და რა დასანანიცა, რომ მისი რწმენა დავის საგნად იქცა მისი ძვირფასი ოჯახისთვის. მართალია, მის საყვარელ მოძღვარს, მამა გაბრიელეს და ქუთაისის კათოლიკე ეკლესიის მრევლს არ მიეცათ საშუალება, რომ ელოცათ თავისი ერთგული მორწმუნის სულისთვის, მაგრამ ლოცვა-ვედრება მუდამ აღევლინება უფალს ამ ერთი ლამაზი ცხოვრებისთვის. იგი ღირსეული მემკვიდრე გახდა და შეუერთდა იმ სახელოვანი კათოლიკეების სიას, რომელთა ცხოვრების ფურცლებს ასე რუდუნებით აგროვებდა თავისი მომავალი წიგნისთვის, რომელსაც სულ მალე იხილავს მკითხველი.

ქალბატონი დოდო „საბას“ ერთგული კორესპონდენტი იყო წლების მანძილზე. მის სტატიებს ყოველთვის ინტერესით ეცნობდა მკითხველი.

უადრესად რომანტიკული გულის და ბავშვური ღიმილის მქონე – ასე დარჩება ჩვენს ხსოვნაში ჩვენი დოდო...

იოსებ გაბელაშვილი

* 15. 06. 1932, ვალე

† 03. 06. 2008, ვალე

ახალგაზრდული გვერდი

გაგა შოთაძე

მას არა მარტო ქუთაისში, იტალიაშიც კარგად იცნობენ, არადა, მხოლოდ 25 წლის ყმაწვილია, მაგრამ ცხოვრების სარბიელზე ძალიან ბერი რამის გაკეთება მოასწრო და წინაც გრძელი, საინტერესო და რთული გზა ელოდება. გაგა შოთაძე პროფესიით მუსიკოსია, უამრავი დათვალიერება-კონკურსების ლაურეატი ჩვენთან თუ საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებში, სადაც კარგად ესმით მუსიკის ფასი.

გაგა მრავალმხრივი პროფილის ახალგაზრდაა: მან დიპლომატიურ სარბიელზეც დიდი პატივისცემა და მოწონება დაიმსახურა; პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობაშიც ღირსეული კვალი გაავლო. შემთხვევითი არ არის, რომ ის ქართულ-იტალიურ ურთიერთობათა ცენტრის პრეზიდენტიცაა.

გაგა ქუთაისში დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №3 სამუსიკო სკოლა, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი და ქუთაისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

1997 წლიდან დღემდე გაგამ მრავალ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ყველგან საუკეთესო შედეგები აჩვენა; ჯერ კიდევ 14 წლის ჭაბუკმა საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების პირველ დათვალიერება-კონკურსში ლაურეატის წოდება დაიმსახურა, ამავე წელს და მომდევნო წლებშიც გაგა ყველა კონკურსის გამარჯვებულია.

2002 წელს იტალიის საელჩოს ინიციატივით გაიმართა კონკურსი, სადაც გაგა შოთაძეც მონაწილეობდა. როგორც კონკურსის გამარჯვებული, ის გაიგზავნა ქალაქ ფლორენციის ლუიჯი ქერუბინის სახელობის კონსერვატორიაში სასწავლებლად.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ გაგამ დაამთავრა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სასწავლებელი და მიენიჭა საღმრთო სჯულის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

ქუთაისის ხელისუფალთ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ახალგაზრდა კაცის წარმატებული კარიერა, მისი დიპლომატიური მისწრაფებები და 2002 წელს ის დაინიშნა იმერეთის მხარის დესპანად იტალიაში. სწორედ გაგას დიდი დამსახურებაა, რომ 2003 წლის 15 თებერვალს ხელი მოაწერეს ქალაქების რომისა და ქუთაისის დამეგობრებას ახალგაზრდული კულტურული პროგრამების გაცვლების მხრივ.

2003 წელს იმერეთის რეგიონში ჩატარდა დავითობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც გაგა შოთაძემ გაიმარჯვა „წლის საუკეთესო ახალგაზრდის“ ნომინაციაში. ამავე წელს გაგას დაენიშნა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია.

2005 წელს იტალიის საელჩოს ინიციატივით გაგა გაემგზავრა ქ. პერუჯის დანტე ალიგიერის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა იტალიური ენისა და კულტურის ფაკულტეტი.

გაგას დიდი დამსახურებაა, რომ მაესტრო ენიო მორიკონეს სტუდიიდან მოხდა სარეკომენდაციო წერილის (საავტორო უფლების) მინიჭება, რაც ახალგაზრდა მუსიკოსს საშუალებას აძლევს ევროპის წამყვან მუსიკალურ სტუდიებთან გააფორმოს კონტრაქტები.

გაგა შოთაძის მრავალმხრივი ნიჭიერება და ერუდიცია ჯეროვნად დააფასეს საქართველოში და იტალიაში. სწორედ ამის გათვალისწინებით, საქართველოში აკრედიტებული იტალიის საელჩოს, იტალიის განათლების სამინისტროსა და ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძის გადაწყვეტილებით, გაგა შოთაძეს 2005 წელს მიენიჭა პროფესორ-ლექტორის წოდება იტალიურ ენასა და კულტურაში, რაც მას საშუალებას აძლევს წაიკითხოს ლექციები არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

2006 წლიდან გაგა საერთაშორისო კომპანია „არგო ტრაველის“ დირექტორის მოადგილეა.

გაგა ასევე წარმატებით ეუფლება ინგლისურ ენასაც. ამ მიზნით მან ლონდონში გაიარა სტაჟირება და აქაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

2007 წელი გაგა შოთაძისათვის უხმოსავლიანი გამოდგა, ის არჩეული იქნა სხვადასხვა საზოგადოებებისა და ქალაქების საპატიო წევრად: კერძოდ, იტალიის ქალაქ ლუკას „საპატიო მოქალაქე“; ქუთაისის მწერალთა კავშირის წევრი; ქართულ-ბერძნული დიასპორის საპატიო წევრი და სხვ. ჩამოთვლა შორს წავიყვანს.

2008 წელს 25 წლის ახალგაზრდა, იტალიის მთავრობის სტიპენდიით, გაემგზავრა აკადემიკოსობის ხარისხის დასაცავად პერუჯის დანტე ალიგიერის სახელობის უნივერსიტეტში.

ამავე წელს არჩეულ იქნა პერუჯის მწერალთა კავშირისა და უცხოელი ახალგაზრდების კულტურული საზოგადოების საპატიო წევრად.

დიპლომატიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას გაგა შესანიშნავად უთავსებდა მუსიკასაც. ამ პერიოდის განმავლობაში მან გამართა კონცერტები გერმანიასა და იტალიაში.

გაგას, როგორც მუსიკოს-შემსრულებელს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ღონისძიებაში: ანსელმო პერის გამოფენა, ჯანი როდარის სპექტაკლი „ჩიპოლინო“, ჯუზეპე ვერდის „აიდა“, ალფრედო სპერანცას სოლო კონცერტი, ასევე საქართველოში იტალიი საელჩოს მიერ გამართულ მრავალ ღონისძიებაში და სხვა.

გაგა შოთაძე მთარგმნელობითი საქმიანობითაცაა გატაცებული. მან მრავალი ნაწარმოები თარგმნა ქართულიდან იტალიურად და იტალიელ მკითხველს გააცნო ქართული კულტურის თანამედროვე ნიმუშები.

2005-2006 წლებში გაგა შოთაძემ მიიღო მონაწილეობა, მრავალ ტრენინგ-სემინარებში, რომლებიც იტალიის საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული. გაგა ქართულ ლიტერატურასთან ერთად იტალიური ლიტერატურის ტრფიალიცაა. იტალიელი კლასიკოსებიდან განსაკუთრებით უყვარს XIV-XV და XIX-XX საუკუნეების ლიტერატურა, კერძოდ, დანტე ალიგიერის, ლუიჯი პირანდელოს, ნიკოლო მაკიაველისა და პაზოლინის შემოქმედება.

გაგას მეშვეობით მრავალი საინტერესო პროგრამა განხორციელდა. იტალიის საელჩოს დახმარებითა და ხელშეწყობით, იტალიური ლიტერატურა გადაეცა უნივერსიტეტსა და საჯარო ბიბლიოთეკას; დაიდო ხელშეკრულება სტუდენტთა გაცვლის პროგრამებში; ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალისტთა გაცვლით პროგრამებზე; მისი მეშვეობით აქტიურად ხორციელდება პროექტი – „იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია იმერეთის რეგიონში“; მხატვრის, ანსელმო პერის გამოფენა; იტალიის კულტურის ატაშეს, ქალბატონ სილვანა მუცატის სემინარები და სხვ.

გაგა შოთაძეზე წერენ და ლაპარაკობენ არა მარტო დასავლეთ საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში და რადიო-ტელევიზიაში, არამედ იტალიის მას-მედიაშიც. ახალგაზრდა კაცს მუსიკასთან ერთად იტაცებს სპორტი, მოგზაურობა და დიპლომატიური საქმიანობაც.

ვუსურვოთ გაგა შოთაძეს წარმატებები მომავალ საქმიანობაში და მისი ნიჭის სრული რეალიზება.

მომამზადა
ციცინო ხითარიშვილმა

საგანგებო ჩანართი

ქი ფიფი უბილწიშვილი და ფიფი შუ პოლუ წემ

კულტურულ ეპოქათა შრეებში შემორჩენილ რელიგიურ გამოხატულებათა მდგრადობა და ცვალებადობა: კავკასიის მაგალითი

მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა დამსწრე საზოგადოებას გაეუზიარო ჩემი ნააზრევი კავკასიის რელიგიურობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. სიტყვა „რელიგიურობას“ ფართო გაგებით ვხმარობთ, რაც სიწმიდით შთაგონებულ ყოფიერებას გულისხმობს და არა ცხოვრების დოგმატურ ჭრილში ხედვას. მსჯელობა რომ არ გაგვეფანტოს, შემოვიფარგლებით ქართული

კულტურით, თუმცა ჩვენს მიერ ნათქვამი, გარკვეულწილად, მთელს ჩრდილო თუ სამხრეთ კავკასიასაც მიესადაგება, მიუხედავად ამ რეგიონის რელიგიური სიჭრელისა.

ჩემი მსჯელობა მხოლოდ ამ რეგიონთან მიმართებაში ჩემივე პირადი გამოცდილებით როდია შთაგონებული. ინტერესს ისიც მიძლიერებს, რომ ეს რეგიონი ოდითგანვე უდიდეს როლს თამაშობდა ევროპული ეთნოსების ჩამოყალიბების საქმეში. აქვე, ჯერ კიდევ IV საუკუნის პირველ ნახევარში, შეიქმნა პირველი ქრისტიანული სახელმწიფოები.

ზოგადი ასპექტები

აქ ვერ შევუდგებით ვერც კავკასიის გეოგრაფიული მრავალფეროვნების გარჩევას, ვერც მისი მრავალტანჯული ისტორიის გადმოცემას და, მით უმეტეს, ვერც მისი უაღრესად მრავალფეროვანი რელიგიური გამოცდილების დეტალურ განხილვას (ანტიკური ქრისტიანობამდელი პანთეონი, ზოროასტრიზმის გავრცელება, ქრისტიანობის ძირითად რელიგიად ჩამოყალიბება, ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი ისლამთან თანაარსებობა და ზოგ შემთხვევაში ისლამზე მოქცევა). ეს ხალხები, განსაკუთრებით კი სომხები და ქართველები ქრისტიანობის მიღებას თავიანთი ისტორიის ცენტრალურ მოვლენად და საკუთარი ეთნიკური თვითშეგნების ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევენ, აქედან გამომდინარე ყველა კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური შედეგით.

მართალია, ამ ერების ისტორიულ-ლიტერატურული ტრადიცია ქრისტიანობაზე მოქცევას, როგორც წესი, მანამდელი კულტისა და ეთიკის ავტომატურად (თუნდაც ძალადობრივად) გაუქმებასთან აიგივებს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ეს უფრო აპოლოგეტიკური კრიტერიუმითაა ნაკარნახევი, ვიდრე ისტორიულ მოვლენათა დაწვრილებითი ანალიზით. მართლაც, ქრისტიანობამდელი სუბსტრატი შემორჩენილია და გარკვეული გაგებით, ერწყმის კიდევ ქრისტიანულ რწმენას, რაც მეტად საინტერესო შრეებსა და ფორმებს წარმოქმნის. ობიექტურად ეს თუნდაც ონომასტიკურად თუ ტოპონომასტიკურადაც დასტურდება. ამასვე მეტყველებს რელიგიური წეს-ჩვეულებები და ქრისტიანული ეკლესიების ადგილმდებარეობა, რომლებიც ხშირად ქრისტიანობამდელი ტაძრების საძირკვლებზეა აგებული. მეტიც, კავკასიის თვალუწვდენელი ქედით ბუნებრივად დაცულ ამ მიწაზე შამანიზმის ნამდვილი ფორმებიცაა შემონახული მათი ჯერ კიდევ ცოცხალი მიმდევრებით, თუმცა ამ ფორმებს, გარეგნულად მაინც, ქრისტიანული ელფერი დაჰკრავს.

ეს უძველესი კულტურული ნაშთები, მათი რიტუალებითა და ცხოვრებასა თუ ზნეობაზე შეხედულებებით, მყისვე წამოყოფს თავს, როგორც კი ქრისტიანული საეკლესიო (ან მასთან ტრადიციულად დაკავშირებული სამოქალაქო) სტრუქტურა შესუსტდება. ეს თვალნათლივ წარმოჩნდა საბჭოთა წლებში, როცა საეკლესიო პირთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და ღიად ქადაგებაც თითქმის შეუძლებელი გახდა. მაგრამ, ვინაიდან საქმე განმეორებად პარადიგმასთან გვაქვს, მას დღესაც ვხვდებით, მაგალითად აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონში. ეს რეგიონი ოფიციალურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშაა, მაგრამ საომარი სიტუაციის გამო ეკლესია იქ თავის სასულიერო პირებს ვეღარ აგზავნის. ამიტომაც, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის „დე ფაქტო“ პროტექციის ქვეშ, რეგიონის მოსახლეობა, თავსმოხვეული რელიგიური ქაოსის პირობებში, მზის უძველეს კულტსა და წარმართულ წეს-ჩვეულებებს უბრუნდება, რომლებიც ქრისტიანულ კულტს ენაცვლებიან (თუნდაც, როგორც აღვნიშნეთ, ნაწილობრივ ქრისტიანული სამოსით).

ზემოაღნიშნული რიტუალური და მაგიური აქტების გარდა, ეს კულტურა, უმთავრესად, თანმიმდევრული ეთიკური შეხედულებებისა თუ ადამიანებს შორის ინდივიდუალური და განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ურთიერთობების სახით ვლინდება. ძნელი სათქმელია, საიდან იღებს იგი თავის სათავეს. ერთი კი ცხადია – იგი ქრისტიანიზაციის შედეგი არაა. მეტიც, იგი ქრისტიანობამდელი ხანიდან მომდინარეობს და დღემდის აერთიანებს ამ საერთო კულტურული არეალის მკვიდრ ხალხებს, რომლებიც შემდგომში განსხვავებულ მონოთეისტურ რელიგიებზე მოიქცნენ. მოკლედ და ზოგადი სახით მოვიყვანო ამ კულტურის ძირითად მახასიათებლებს:

ა) ოჯახისა და კლანის უდიდესი როლი, მკაცრად განსაზღვრული შიდა ურთიერთობანი, რომლებიც წინაპრებისადმი ღრმა პატივისცემას ეფუძნება (გარდაცვლილთა სიახლოვე, მათი კოლექტიური დატირება), მამაკაცური მეგობრობის უზენაესობა ცოლ-ქმრულ ურთიერთობებთან შედარებით, დედ-მამის, ბები-ბაბუასა და ახალგაზრდების მკაცრად განსაზღვრული ადგილი (და შესაბამისად, ურთიერთობა შვილებთან და შვილიშვილებთან). ამ ბუნებრივ სტრუქტურას ემატება მეგობრობისა თუ სხვა რეალობების (მაგალითად ნათლობის) გზით შექმნილი წრე, რომელიც ფაქტობრივად ოჯახის ნაწილად მოიაზრება და ამდენად, სქესობრივი თვალსაზრისითაც ტაბუირებულია (მაგალითად, მეგობრის ან ძმობილის დასთან ურთიერთობა ინცესტის ფორმად ითვლება).

ბ) უზენაესობა თავმოყვარეობის გრძობისა, რომელიც ადამიანის უმთავრესი საზრუნავია. თავმოყვარეობაშელახული ადამიანი თავის ადამიანურ ღირსებას კარგავს და, თუ ამგვარი მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი ხდება და ადამიანიც თანმიმდევრულია, მან შეიძლება ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინოს. თავმოყვარეობის დაცვა მთელი სოციალური სტრუქტურის შექმნას გულისხმობს (მფარველის თუ მოკავშირეების შერჩევა, სამართლის აღსრულებისა და ღირსების აღდგენის მკაცრად განსაზღვრული და შეუვალი მეთოდოლოგიის შექმნა). ისტორიულმა ქარტეხილებმა, გამუდმებულმა შემოსევებმა და გეოგრაფიულმა იზოლირებულობამ თავდაცვის თუ (შელახული ღირსების აღდგენის შემთხვევაში) თავდასხმის უპირველეს საშუალებად ომი დასახა. მართლაც, ყველაზე დიდ უბედურებად აღუდგენელი ღირსებით გამოწვეული სირცხვილი ითვლება. ქართული ფოლკლორიც დიდწილად საომარი სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

გ) სტუმარ-მასპინძლობის უზენაესობა, როგორც წმიდათაწმიდა მოვალეობა, რომელიც გულისხმობს სტუმრის ხელშეუხებლობას და მისთვის ყოველივე საუკეთესოს შეთავაზებას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს გამჭოლი ეთიკური სტრუქტურა, როგორც აღვნიშნეთ, საერთოა დღევანდელი ქრისტიანი და მუსულმანი ეთნოსებისათვის. ეს ყველაფერი კი თანაარსებობს მათ შორის არსებულ დოგმატურ განსხვავებებთან; მეტიც, ეს განსხვავებები მასზე თითქმის არავითარი გავლენას არ ახდენს, რადგან აღნიშნული სტრუქტურა წარმოადგენს ცხოვრებისა და სოციალური ქცევის მძლავრ და მდგრად სისტემას, რომელიც მთელი კავკასიის რეგიონის დიდი ნაწილს მოიცავს, მიუხედავად აქ მცხოვრები ხალხების მრავალფეროვნებისა და, არცთუ იშვიათად, ურთიერთდაპირისპირებისა. იგი თითქმის ყოველთვის უპირისპირდება ცენტრალურ ორგანიზაციას ან ცხოვრების სხვაგვარ გაგებაზე დამყარებულ და გარედან თავსმოხვეულ სამართალს; და რაკი სახელმწიფო სტრუქტურა თავისი წესებისამებრ მოქმედებს, აღნიშნულ მენტალიტეტს მასში ხშირად შესაძლო შესწორებები შეაქვს და, თუ ეს შეუძლებელია, სრულიად უარყოფს კიდევ მას. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის გავრცელებული მოვლენა, როცა ამათუიმ დანაშაულის მოწმე თუ ამ დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი უარს

ამბობს მიმართოს პოლიციას, რადგან ამგვარ საქციელს დასმენად და ტრადიციული შურისძიების მოვალეობისაგან თავის არიდებად მიიჩნევს.

მაშ, შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს გაქვავებულ, შეუვალ და დროისა თუ სიტუაციის მიხედვით უცვლელ არქაულ გადმონაშთთან? ამგვარი ხისტი დასკვნა უთუოდ უმართებულო იქნებოდა. იგივე სტრუქტურა გარკვეულ მოქნილობასაც იჩენს, რომლის ხარისხიც ადგილისა და გარეშე ფაქტორებისადმი მგრძობელობისდამიხედვით იცვლება. სწორედ ეს მოქნილობა ეხმარება ამ სტრუქტურას არახელსაყრელ გარემოსთან შეგუებაში. მაგალითად, კომუნისტურ ხანაში, სწორედ „ღირსების დამცველის“ ინსტიტუტზე დაყრდნობით (ანუ ავტორიტეტული პირისა, ვისაც ხელეწიფება სამართლიანობის აღდგენა), თვით სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ხელოვნურად იქნა დანერგილი ე. წ. „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტი. ამგვარ პირებს ევალეობდათ საპატიმროებში, და ზოგადად, ე.წ. „შავ სამყაროში“ წესრიგის დამყარება. ამგვარი გზით, სახელმწიფომ, აღიარა რა თავისი უძლურება განეხორციელებინა დანაშაულებრივი სამყაროს ინსტიტუციონალურად გარანტირებული კონტროლი, რეალური ძალაუფლება მის მიერ მანიპულირებულ ტრადიციულ სოციალურ სტრუქტურას გადააბარა, სანაცვლოდ კი მას გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები დაუწესა. „კანონიერი ქურდები“ თავიანთი წესებით ცხოვრობდნენ – არ ქმნიდნენ მყარ ოჯახებს, იცვამდნენ ძირითადად შავი ფერის სამოსს და სრულყოფილად იცნობდნენ საზოგადოების ამა თუ იმ ფენასთან ურთიერთობის ნორმებს. ეს ინსტიტუტი მთელი საბჭოეთის მასშტაბით დაინერგა და იგი დღესაც ფართოდაა გავრცელებული ე.წ. „რუსულ მაფიაში“ (თუმცა ერთგვარად „მოდერნიზებული“ სახით).

და მაინც, არსებობს ისეთი გარემოებანიც, როცა ამ კულტურული წარმონაქმნიდან გამომდინარე სოციალური მოწყობა გარკვეული განვითარების თუ ცვლილებათა უცილებლობის წინაშე დგება, მაგრამ ისე, რომ ეს ყოველივე მის საფუძვლებს საფრთხეს არ უქმნის. ვგულისხმობთ იმ ტრაგიკულ სიტუაციებს რომლებიც ამ კოლექტიური ეთიკის მიერ მკაცრად დადგენილ წესებთან კოლიზიის დროს წარმოიქმნება. ეს კოლიზია ტრადიციის უარყოფას როდი ნიშნავს; მეტიც, ამ უკანასკნელის მიმართ პატივისცემა კიდევ უფრო იზრდება, მაგრამ სინდისის ხმის მიერ დასმული საჩოთირო კითხვები საფრთხეს უქმნის სისტემის შინაგან სიმტკიცეს.

რამდენადაც ვიცი, ეს ტრაგიკულობა თუ კოლექტიური სულისკვეთება არავის გადმოუცია ისეთი ძალით, როგორც ქართველ პოეტს ლუკა რაზიკაშვილს (1861-1915), რომელიც ვაჟა-ფშაველას სახელითაა ცნობილი (ანუ, „ფშაველი ვაჟი“ - ფშაველები ქართული მთიელი ტომია, რომელიც ხევსურების მსგავსად ქრისტიანობის მიღების შემდეგაც არ დალატობდნენ საკუთარ უძველეს ტრადიციებს).

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი თავის მთებში გამოკეტილმა გაატარა, მან ღრმად შეისწავლა ევროპული ლიტერატურა. საკუთარი ხალხის მითებისა და ლეგენდების დიდი მკვლევარი, უზარმაზარი პოეტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. სწორედ მის რამდენიმე პოემაზე დაყრდნობით (რომლებიც უკვე იტალიურადაცაა თარგმნილი ლუიჯი მაგაროტოსა და ჯანრობერტო სკარჩას მიერ), ვეცდები წარმოვაჩინო ამ ტრადიციული კულტურის გამოვლინებანი, მისი შინაგანი დრამატიზმი და ტრაგიკულობა.

სიტყვით გადმოცემული კულტურა

პირველი პოემა მისივე მთავარი გმირის სახელს ატარებს: ალუდა ქეთელაური. ალუდა მამაცი ხევსური მეომარია, რომელიც თავის ხალხს შემოსეული ქისტებისაგან იცავს (ხევსურები ქრისტიანები არიან, ქისტები კი მუსულმანები). ერთ ქისტს რომ მოკლავს, მეორეს შეებრძოლება, სახელად მუცალს. ორთაბრძოლისას ისინი ერთმანეთს შეურაცხყოფელი სიტყვებით მიმართავენ („რჯულბადლი“), რაც ეთნიკურის გარდა (და უფრო მეტადაც) მათ რელიგიურ დაპირისპირებაზეც მიგვანიშნებს. მაგრამ, აი, გაცხარდა ორთაბრძოლა და ერთურთის ვაჟკაცობით მოხიბლულ მტრებს შორის რაღაც უცნაური სიახლოვე დაისადგურებს. სამკვდროდ დაჭრილი მუცალი კი სიკვდილის წინ თავის ხმალ-ხანჯალს ალუდას უტოვებს. თავის მხრივ ალუდაც უარს ამბობს ადასრულოს წეს-ჩვეულების მოთხოვნა და მარჯვენა ხელი მოსჭრას მოსისხლეს. „ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!“ – შესძახებს ალუდა და „ატირდა, როგორც ქალიო“ (ვაჟა-ფშაველას გმირები ტირიან, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიური ტრადიციისამებრ, მამაკაცებს ტირილი მხოლოდ ახლო ნათესავების დაკარგვის შემთხვევაში შეჰფერით). „კარგი გყოლია გამდელი, ღმერთმ გიდღეგქელს გვარიო!“. და აი, პირველი აპორიაც: მეომრის ვაჟკაცობა სძლევეს ეთნიკურ-რელიგიურ კატეგორიას და ქრისტიანი გმირი იქამდეც მიჰყავს, რომ ღმერთს შეავედროს მუსულმანის სულის ხსნა და მის გამო მთელს მის ხალხსაც პატივი მიაგოს, თუნდაც რომ ეს ხალხი მოსისხლე მტერი იყოს. იმ კედელზე საუბრისას, სადაც მტრის მოჭრილ მკლავებს ჰკიდებენ, პოეტი თითქოს იფეთქებს და ხელს კრავს ძალადობის ამ გამოვლინებას, რომელიც, მეორე მხრივ, „ღირსების ეთიკის“ განუყოფელი ნაწილია, ღირსებისა, რომლის დაცვაც ვაჟკაცის უპირველესი მოვალეობაა. „ვისაც მტერობა მასწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითონაც შიგვე მდგარია. ღვინოდაც იმას დაჰღვედეს, პურადაც მოსახმარია. პირჯვარი დაიწეროდეს, მითამ საყდარში არია. სისხლშია ჰქონდეს ქორწილი, იქ დაიწეროს ჯვარია, დაიპატიჟოს სტუმრები, დაამწერიოდეს ჯარია, სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაიწვინოს ცალია, ბევრი იყოლოს შეილები, ბევრი ვაჟი და ქალია; იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია“.

ეს უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდლა პრინციპის გაცხადება. ეს გახლავთ სურვილი შურისძიების მორევისაგან თავის დახსნისა, შურისსძიებისა, რომელსაც სიკვდილის მეტი არა მოაქვს რა: „შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია!“. ბრძოლიდან დაბრუნებული ალუდა ორთაბრძოლის ამბავს ყვება („ამბავს დიდღველის მგლისასა“). მის ნაამბობში გამოსჭვივის ფასეულობათა კონფლიქტით გამოწვეული ტრაგედია. „იმ ცხონებულსა მუცალსა, რკინა სდებიყო გულადა“. არც მსცოვანი უშიშას პასუხი დააყოვნებს: „რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა!“ ალუდა კი ისევ ქებით ამკობს ქისტის კაცობას. ეს სიტყვა მხოლოდ „პიროვნულობას“ როდი აღნიშნავს. იგი იმავდროულად მოიცავს ღირსებას, თავმოყვარეობის გრძნობას, ვაჟკაცობას, მამაკაცურობას. „მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა“, – ამბობს ალუდა. „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი, ჩვენა ვცხონდებით, ურჯულთ კუპრში მოელის ქშენანი... ამის თქმით ვწარამარაობთ, ღმრთიშვილთ უკეთეს იციან, ყველანი მართალს ამბობენ განა, ვინაცა ჰფიციან“. ტრაგედია აღსრულდა. ალუდამ დაარღვია თავისი ხალხის, თავისი რელიგიის წესები, ეჭვი შეიტანა მათ შეუვალ ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაში, ბოლომდე ვერ ადასრულა ვაჟკაცობის დადგენილი წესი: “გამოჰქცევიხარ ქისტიშიელს, გადუქცევიხარ ქალადა” - ასეთია მისიანების შეფასება. ამიტომაც, მისი საბრძოლო იარაღი, მხოლოდლა ქალის საოჯახო იარაღებად თუ გამოდგება. მის ბრალს (*ებრის*) შენდობა არა აქვს. როცა მისი მეგობარი მინდია თავად მოჭრის ხელს მკვდარ მუცალს და ალუდას მოუტანს ქვაზე ჩამოსაკიდად, ეს უკანასკნელი საქციელს მკაცრად

დაუგმობს. ამას მოსდევს ხატობის სცენა – ხალხს უფლისათვის მსხვერპლად შესაწირი საქონელი მოჰყავს (ეს წესი სომხებში დღესაც არსებობს). ალუდასაც მოუყვანია თავისი სამხვეწრო – შავი მოზვერი. ხუცესის კითხვაზე, თუ ვის ამწყალობნებს, იგი პასუხობს – მუცალს, მის მიერ მოკლულს, „მოუნათლავის შვილს“. ხუცესი შეცბება: „გაურჯულებელს არჯულებ, შენ ეგ არ შაგინდებისა“. შედეგიც მყისიერი და უღმობელია: „გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა!“. ალუდა ამაყად აცხადებს, რომ ქრისტიანია, მაგრამ შემართავს დანას და შესწირავს კურატს: „აღლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსაო!“. სასჯელი გადაუვალია: ის და მისი ოჯახი მოკვეთილია, ნიშნად ღმრთის რისხვისა. მას ვეღარც მინდიას მეგობრობა შეეღის. ამ უკანასკნელის მიერ ქაზე ჩამოსაკიდად მოტანილ და შემდგომ ხეში გადაგდებულ მუცალის ხელს ძაღლებიც აღარ ეკარებიან. „ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო“ – თითქოს სცენის გარედან მოისმის ტრადიციის ხმა. ბოლო სცენა წარმოგვიდგენს თოვლში მოხეტიალე ოჯახს, რომელსაც იავარქმნილი სახლი მიუტოვებია. ცოლის მოთქმას – „უბინო-უსახლკარონი სხვაგანაც დავიწყევითა“ ალუდა ღირსების უკანასკნელი და უმაღლესი გამოვლინებით პასუხობს: „... ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა. ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ...“ და ტკივილით სავსე გამოსამშვიდობებელ სიმღერას უძღვნის მთებს, თავის სახლ-კარს, თვით ღმერთსაც კი: „მშვიდობით, ჩვენო ბატონო, ყმათად მომცემო ძაღისა!“.

საკითხის გამარტივება იქნებოდა, ეს დრამა თემის წესების წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნების გამარჯვებად ჩაგვეთვალა. ავტორი ამის უფლებას არ გვაძლევს. მეტიც, იგი საწინააღმდეგოს ამტკიცებს – ტრაგედია გარდაუვალია, როგორც ბედისწერა. დამნაშავე არავინაა – არც ის მამაცი ადამიანი, ვინც მეგობრობისა და ღირსებისათვის მტერი დაინდო, არც ის, ვინც იგი მოკვეთა, განდევნა და თვით ღმერთიც კი დააკარგვინა, ღმერთი, რომელიც თავის მშობლიურ სოფელში დატოვა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მეგობრის ღირსების პატივისმცემელმა ალუდამ საკუთარი ღირსება დაკარგა. აი, აქაა დიდი პოეზია და ღირებულებათა ტრაგიკული კონფლიქტის ძალა.

კიდევ ერთი გადაუწყვეტელი აპორიაა სტუმრისადმი პატივისცემა და შურისძიება. სწორედ ამას ეხება პოემა “სტუმარ-მასპინძელი”. ხევსური გმირი, გვარად ზვიადაური, ქისტების მიწაზე, მთაში გზას მიიკვლევს. გზად იქაურ მკვიდრს გადაეყრება, სწორედ მას, ვისაც ძმა მოუკლა. თავის ვინაობას არ ამჟღავნებს. მათ შორის მეგობრული, ძმური ურთიერთობა მყარდება. ქისტი, სახელად ჯოყოლა, მას ნანადირევს გაუყოფს, რაც, ტრადიციისამებრ, დასტურია ახალი ურთიერთობისა: „შაპრცხვეს, ჩემთავად, ვინც შენა ნაწილი დაგიკარგოსა“, – ამბობს ჯოყოლა. შემდეგ, იგი მოძმეს თავის სახლში მიიპატიჟებს, გზად კი ისინი კიდევ უფრო დაახლოვდებიან. სახლში შეპატიჟების სცენა ნათლად მიგვანიშნებს, თუ რაოდენ ახლობელია მეგობარი თუ სტუმარი ოჯახისათვის: „მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან ნათლია“. სახლში კი მოხუცი კაცი მღერის ქისტების ვაჟკაცობას, თუ როგორ აზღვევინეს ფშაველებსა თუ ხევსურებს ძმის სისხლი. ჯოყოლა სტუმარს მეუღლეს წარუდგენს და ქალს სტუმარზე ზრუნვას დაავალებს. „სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!“ - ესაღმება ქალი და ზვიადაურიც პასუხობს „შენდაც მშვიდობა!“. აი, მშვიდობაც, ეგზომ იშვიათი, მაგრამ მუდამ სანატრელი კავკასიელი ხალხებისათვის, იმდენად, რომ საქართველოში მისაღმებისას ამბობენ: „დილა მშვიდობისა“ ან „სადამო მშვიდობისა“, გამოსაღმებისას კი - „მშვიდობით“. ზვიადაური ძმად ქცეული მეგობარია („ძმობილი“). სახლში მყოფი მოხუცი იცნობს ზვიადაურს, ჯოყოლას ძმის მკვლელს, მაგრამ, ისიც ემორჩილება სტუმარ-მასპინძლობის წესს: „ფეხზე ადგომა წესია, წესს ვერ დაარღვევს მთისასა“. მოხუცი სახლს ტოვებს და სოფელში გარბის, რათა სოფელელებს

ამცნოს, რომ მათთან მოსისხლე შემოპარულა: „გაუმაძღარი მუდამუამს ჩვენის სისხლით და ძვალთა“. დროა შეიპყრონ და „უპატრონო მკედრად“ აქციონ იგი, ანუ, ტრადიციისამებრ, მის მიერვე მოკლულის საფლავს დააკლან. ამასობაში კი სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ტკბილად ებაახებიან ჯოყოლას სახლში. მეტიც, სახვადიოდ ერთმანეთს „ძმობას“ და სულით შეთვისებას ჰპირდებიან (რაც ფიზიკურად ერთმანეთის სისხლის შერევისა და ერთიდაიმავე თასიდან ვერცხლგარეული ღვინის მოსმით გამოიხატება). ამ დროს, მოისმის შეიარაღებული ხალხის ჩოჩქოლი, რომელიც სულ უფროდაუფრო ახლოვდება. ჯოყოლა აღშოფოთებულია: „ჩემს სტუმარს ჰკლავენ სწორედა, უღვასთ ხანჯრების პრიალი. უყურე უნამუსოთა, ჩემს ოჯახს როგორ ჰქელავენ! ჩაიგდეს ჩემი კაცობა, ფეხქვეშ ტყლაპივით სთელავენ.“ გარეთ გამოსული ჯოყოლა ხალხს საყვედურობს: „რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა?“. მომხდურნი მას ჭკუის მოხმობისკენ მოუწოდებენ: „თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“. მოსისხლე მტერი, ჯოყოლას ძმის მკვლეელი უნდა შეიბოჭოს და მოკვდეს. „გული როგორ არ გერევა მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?“ – ეკითხებიან ჯოყოლას. ის კი წარბსაც არ იხრის: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითამც მე ვერ ვუღალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა!“. სტუმრის შეპყრობა მხოლოდ სახლის გარეთ შეიძლება. მაგრამ ხალხს არაფრის გაგონება არ სურს. ჯოყოლა მომხდურთ მუქარით მიმართავს: „ვაი თქვენ, ქისტიშვილებო, მომდგარო ჩემს კარს ჯარადა! უიარაღოს აწვალებთ, გული რასა გრძნობს თავადა?“. არც პასუხი დააყოვნებს, იგივე პასუხი, რაც წინა პოემაში იყო აღუდას მიმართ: „შენაც ამასთან შაგკონავთ, თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!“. ჯოყოლა არ ნებდება: „აღლაჰსა ვფიცავ, გაგმუსრავთ, სანამ ამკაფავთ ხმლებითა!“, მაგრამ ამოდ: „უნდა თავის მკვდარს შესწირონ, რომ იქ უზიდოს წყალია, მსახურად ჰყავდეს მორჩილად და გაუბანდოს ჯღანია...“. ავტორი, თითქოს შორიახლოს მდგარი, ასე აგვიწერს ამ სცენას: „მოჰყავდა ზვიადური ხელშეკონილი გროვასა, ყველას უხარის მის მოკვლა, ან ვინ დაიწყებს გლოვასა?! სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან; კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯელა, როგორ დიდ ცოდვას სჩადიან. რამდენი აესული ვიცი, წარბშეუხრელად დადიან; თავის მტანჯველის შემუსვრა ან კი ვის არა სწადიან?!“. აი, უკვე მკვდრის საფლავთან დგანან, მოლაც იწყებს თავის სამგლოვიარო ლოცვას, მაგრამ მკვდრისადმი მიმართული მისი სიტყვები ლოცვას როდი ჰგავს: „მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე, არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო“. მაგრამ, მსხვერპლშეწირვას ძალა არ ექნება, თუ მსხვერპლი არ შედრკა. ზვიადური კი არ ნებდება და წარბსაც არ იხრის. მეტიც, უშიშრად მიახლის შეკრებილთ: „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“. ყველა გაოცებულია: „ლამის რომ არ შაეწიროს, ერთი უყურეთ ძაღლსაო!“. სიძულვილით აღსავსე სცენა მოულოდნელად წყდება – განზე გამდგარი დიაცი მოთქვამს: „...ნეტავი მომცა ცულიო, ნეტავი ნებას მაძლევდეს დედაკაცობის რჯულიო, რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გაგაფრთხობინო სულიო. ნეტავი იმას, ვინაცა მაგის მკლავზედა წებოდა. ...ნეტავი იმას ოდესმე ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!“. ეს აღაზაა, ჯოყოლას ცოლი. ამასობაში კი ქისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ – ხევსური მათ მკვდარს არ შეეწირა. ყველა აღიარებს ზვიადურის ვაჟკაცობას, მაგრამ მან და მისმა მოძმეებმა ხომ ამდენი ბოროტება მოუტანეს მათ ხალხს. თანაც, „მტერს მტრულად მოექქვ, თვითონ უფალმა ბრძანაო“. ამიტომაც, მის სხეულს ძაღლების საჯიჯგნად სტოვებენ. მასთან მხოლოდ გულმოკლული აღაზა რჩება. იგი მოკლულ ვაჟკაცს დასტირის. „ბევრი იტირა ჩუმადა, თუმცა დროდადრო ჰკრთებოდა, ზვიადურის სიკვდილი თვალეებში ელანდებოდა. სტიროდა, მაგრამ ტირილი არ იყო, ეხათრებოდა: ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა, მეორით – ღმერთი აშინებს – ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას გადმოადინებს“. ქალს ქმარი აღარც ახსენდება, იგი მხოლოდ დაღუპულ გმირს

სტირის. ეს როგორ ხდება? „ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?“. მერე მკვდართან მიდის, წვერიდან სამ ბეწვს ააჭრის და სახსოვრად ინახავს. უეცრად, საფლავებიდან ყურისწამლები ჟივილი მოესმის – „რას შვრები, უნამუსოვო!“ – ამოსძახიან მკვდრები. „მაღალი ღმერთი გრისხავდეს – სამართი შემოჰკიოდნენ“. სახლში დაბრუნებულმა, ნამტირალევმა ალაზამ ქმარს უნდა აუხსნას ტირილის მიზეზი. ჯერ ტყუილის თქმას ცდილობს, ბოლოს კი გამოუტყდება: „...ცრემლები შამიწირია იმ შენის მეგობრისადა. ძლიერ შემბრაღდა ბეჩავი, რომ უცხოეთში კვდებოდა, არც ნათესავი, არც მოძმე, რომ ვისმე შეჰბრაღებოდა!“. შემდეგ კი შესჩივლებს ქმარს: „იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!“. ჯოყოლა კი როდი ვმობს მის საქციელს: „მაგისტვის როგორ შეგრისხავ? ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო. იტირე?! მაღლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. ამასობაში კი ხევსურეთში შეიტყვეს გმირის დაღუპვის ამბავი. „მკლავნი მანვენეთ შეიღისა, მოიტათ ჩამაბარეთა! ჩემის შეიღისა მარჯვენით გულს მიწა მომყარეთა“, – მოთქვამს დედამისი. მეომრები იარაღს აისხამენ, რათა „ურჯულოთა მიწაზე“ მოკლული მოძმის შური იძიონ. ჯოყოლას მოესმის მათი ყიჟინა, თან თავისი ყოფაც გულს უკლავს: „ქისტებს ორგული ვგონივარ, გამდგარი თავის რჯულზედა, ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ თავი გაჰყიდა ფულზედა, ქისტეთის მოღალატე ვარ, ხელაღებული სულზედა“. თავისი ღირსების დასაბრუნებლად ერთადერთ და უკიდურეს გზას ირჩევს – მარტო შეებრძოლება მტერს, მაგრამ ღირსების დაბრუნების ეს უკიდურესი ფორმაც ვეღარ გაამართლებს მას ქისტების თვალში. ხევსურები დაიბრუნებენ თანამოძმის სხეულს და სახლში ბრუნდებიან, რათა დაიტირონ და წინაპართა მიწას მიაბარონ იგი. ალაზას სატკივარს ქმრის სიკვდილიც ემატება, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს თავისიანების მხრიდან გამოთქმული სიძულვილი: „ჯოყოლამ გვიღალატაო, მაგის ადგილი ეგ არი, სადაც მარტოკა ომობდა, ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი, თემის პირისა გამტეხი, ორგული, დაუდეგარი“. მარტო დარჩენილი ქალი სასოწარკვეთილია: „რადად ვიცოცხლო, რიღასთვის – ამას ჰფიქრობდა ქალია – ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი არსად არია. ორთავ შევცოდეთ, ქისტებმა მით შემიჩვენეს ქმარია... მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს, უცხოსთვის ცრემლი ვღვარია“. თავის უღირს ყოფას რომ ბოლო მოუდოს, ალაზა მდინარეში გადაეშვება და თავს იხრჩობს. დამ-დამობით კი ასეთი სურათი წარუდგება მნახველის თვალს: ჯოყოლა კლდის თავიდან უხმობს ზვიადურს, რომელიც საღამითვე პასუხობს. მათ აჩრდილებს კი ალაზას აჩრდილი მასპინძლობს. „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა, სტურამ-მასპინძლის წესზედა ცნობის და დაძმობისასა“.

აი, საოცარი ფრესკა ახალი ტრაგედიისა: განსხვავებული რწმენის ადამიანებს სტუმარ-მასპინძლობის წესები აერთიანებთ, რომლებიც სამართლიანობის აღდგენის სახელით ირღვევა. ქალს ოჯახურ მოვალეობაზე მეტად ვაჟკაცის სიამამაცე ატყვევებს. და მაინც, ეს „ურჯულოს“ სიამამაცეა. თემი თავისი კანონის პატივისცემას ითხოვს და ყველასთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს. მოსისხლე ხალხებს ერთიდაიგივე კანონი და ერთიდაიგივე გლოვა აერთიანებთ. მკვდრები ცოცხლდებიან და მთავარ გმირებად იქცევიან, როგორც წინაპართა ძახილი, სასტიკი და უღმობელი. დაძმობილებულ მოსისხლეთა აჩრდილები წმინდა სუფრასთან ვაჟკაცობაზე საუბრობენ და, სტუმარ-მასპინძლობის ძალით, სიკვდილის შემდეგაც კიდევ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)